# საქართველოს რესპუბლიკა




დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 მარტი, 2010 წელი.

№44 (6410)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## ვის ამოხდიან სულს ლეიბორისტები?



რატომ უკიდია ცეცხლი საწვავს? 2

## ყარტაყურტა ხალხის თავიდან მოსაცილებლად... 3





## ყველამ უნდა იცოდეს, რომ ლაკო ბუკიას ბრენდი საქართველოდანაა! 7





## პრეზიდენტის მცდელობით თუ მინისტრის უმცდელობით ჯანდაცვის პროგრამა ჩავარდა 3

## სააკაშვილი შესამოწმებლად თმას ჩააბარებს 8

## არჩევნების წინ უბატონო ქიზიყელთა დაბეჩავებას ყოფილი ქალოვნების თანამდებობებზე მოყვანით გეგმავენ? 4

## ხელისუფლება დანაშაულის კრებსითობას ვერ ელევა 2



## მე ვიცი, რას დაჰპირდა პუტინი ბურჯანაძეს 5



## განათლების გადარჩენა მხოლოდ სკოლის ალორძინებით შეიძლება 4

## ქვეყანა განსაცდელშია, ესენი კი... 6

პროტესტი

# ვის ამოხდიან სულს ლეიბორისტები?

## რატომ უკიდია ცეცხლი საწვავს?

*ვარდების მოედანი – რუსთაველი – ავლაბარი – ჩუღურეთი, ასეთი საინტერესო მარშრუტი გაიარეს გუშინ ლეიბორისტული პარტიის წევრებმა მხარდამჭერებთან ერთად დროშებითა და წარწერით: „საწვავი გაიაფდეს!“ 40-მდე მანქანამ თბილისის სახელმწიფო უწყებები და დიდი ბენზინგასამართი სადგურები შემოიარა და ამ ჟესტით კიდევ ერთხელ შეახსენა ხელისუფლებას, რომ საქართველოში საწვავის ფასი კატასტროფულად მაღალია.*



*ეს არ არის ლეიბორისტთა პირველი აქცია, რომელიც სწორედ ბენზინის მაღალ ფასს შეეხებოდა, აგერ უკვე მეოთხე თვეა მსგავსი თემებით ხშირად მართავენ ბრიფინგებსაც და აქციებსაც. სანამ მანქანები ხმაურიანი სიგნალებით დაიძრებოდნენ, ჩვენ გავესაუბრეთ შრომის პარტიის პოლიტიკურ მდივანს გიორგი გუგავას:*

– დღევანდელი აქცია მიმართულია იმ ბენზომაფიოზების წინააღმდეგ, რომელთაც ხელოვნურად აქვთ ფასი გაზრდილი საწვავზე. ისინი ყოველდღიურად ძარცვავენ ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ არ გავჩერდებით, სანამ არ მივაღწევთ სასურველ შედეგს. ბრძოლას იქამდე გავაგრძელებთ, ვიდრე სააკაშვილი ბრძანებას არ გასცემს და საკუთარ კომპანიებს ფასს არ დააწევინებს. არ მოვეშვებით, სულს ამოვხდით სააკაშვილს!

**– თქვენ, ალბათ, გაანგარიშებული გექნებათ, რამდენი შეიძლება იყოს ჩვენში დღეს ბენზინის ფასი?**

– დღეს საწვავი 1,20 ლარს ზემოთ არ უნდა იყოს. 1,80 ლარი საოცრად მაღალია. ამ გზით სააკაშვილის ჯულაბაში მიდის მილიონები, რომელიც ხალხის ძარცვით არის მოპოვებული. სხვათა შორის, საწვავის მაღალი ფასი განაპირობებს მომსახურებაზე, გადაზიდვაზე, მგზავრობაზე, პროდუქტებზე და, საერთოდ, ყველაფერზე ფასთა ზრდას.

**– ბატონო გიორგი, თქვენ რამდენჯერმე გააპროტესტეთ საწვავის, და არა მარტო საწვავის მაღალი ფასი. ეს შეეხებოდა ელექტროენერგიის, წყლის, მობილური კავშირის მომსახურების ტარიფებსაც...**

– ჩვენ ყოველდღიურად ვართ ბრძოლაში ჩაბმული. დაგეგმილი გვაქვს ჯანდაცვის სამინისტროსთან აქცია. გავაპროტესტებთ იმ მავნე გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებების გასხვისების, დანგრევის, გაჩუქების მეორე, საბოლოო ეტაპს. ტენდერზე გამოტანილი აქვთ 200-მდე სამედიცინო ობიექტი. არ შევწყვეტთ აქციებს მობილური ტელეფონების ტარიფებთან, წყალთან, ელექტროენერგიასთან დაკავშირებით.

**– კარს მომდგარი არჩევნების კვირაძალზე როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს?**




– არჩევნებში არ ვმონაწილეობთ, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც ხალხს აწუხებს. უმძიმესი სოციალური მდგომარეობა არამარტო ალარიბებს ჩვენს მოქალაქეებს, არამედ ისინი ყოფნაარყოფნის ზღვართან დგანან...

**– არჩევნებში არ მონაწილეობთ, მაგრამ, როგორი იქნება თბილისელების არჩევანი, ამაზე რას ფიქრობთ?**

– ვერ გეტყვით, წარმოდგენა არა მაქვს. ჩვენი პოზიცია ცნობილია: ვინაიდან რეჟიმები მხოლოდ გაყალბებულ არჩევნებს ატარებენ, ჩვენ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოწყობილ არჩევნებში არ ვმონაწილეობთ.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

ინფორმაცია

### პრეზიდენტი პოლონეთის პრემიერ-მინისტრთან აგვარებს საქმეებს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი საქართველოს პრეზიდენტთან ორ ქვეყანას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავს.

წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრაზე ასევე ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარება და მისი დარეგულირების საკითხებში პოლონეთის ჩართულობა იქნება.

თბილისში ოფიციალური შეხვედრების დასრულების შემდეგ დონალდ ტუსკი ბათუმში გაემგზავრება, სადაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდება. ვიზიტი 11 მარტამდე გაგრძელდება.

### აღდგება მონიტორინგი?

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ჟოაო სუარესის განცხადებით, ეუთო ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში მონიტორინგი აღდგეს.

– ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით საქართველოში სადამკვირვებლო მისიის ყოფნას და ახლაც ვეცდებით კონსენსუსის გზით მივაღწიოთ შეთანხმებას და ჩვენი მონიტორინგი დავაბრუნოთ კონფლიქტურ რეგიონებში, – აღნიშნა სუარესმა ვიცე პრემიერ-მინისტრ გიორგი ბარამიძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ბარამიძის განცხადებით კი ქართული მხარე ეუთოს მისიის აღდგენასთან დაკავშირებით ყველა ვარიანტის განხილვისთვის მზად არის.

### ალასანიელები ნოღაიდელს ეკვრებიან

ირაკლი ალასანიას თანაგუნდელები ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში გადავიდნენ. „ალიანსი საქართველოსათვის“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ექვსმა წევრმა დატოვა. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ირაკლი ალასანია ჯერ ნოღაიდელის გუნდში გადავიდა, შემდეგ კი პოზიცია შეცვალა.

– ჩვენ არ გვინდა ლიდერი, რომელსაც მერყევი პოზიცია აქვს, – განაცხადეს ყოფილმა რესპუბლიკელებმა ნოღაიდელის პარტიის ერთ-ერთ ლიდერთან ლოთი ქობალიასთან ერთად გამართულ საგანგებო ბრიფინგზე.

### ლევან გაჩეჩილაძე თავს იკავებს

კვლავ უცნობია, დაასახელებს თუ არა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე თავს მერობის კანდიდატად. მილანიდან დაბრუნებულ გაჩეჩილაძეს ამ თემაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. პრაიმერის მომხრე პარტიები ლევან გაჩეჩილაძის თბილისის მერობის კანდიდატად დასახელებას მიესალმებიან, თუმცა, მათი თქმით, ეს გადაწყვეტილება გაჩეჩილაძემ თავად უნდა მიიღოს.

– პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, როგორც მოქალაქე, მოხარული ვიქნები, რომ ლევანმა ეს გადაწყვეტილება მიიღოს, – განუცხადა ჟურნალისტებს „კონსერვატორმა„ კახა კუკავამ.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის„ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი კი ხსენებული გადაწყვეტილების შეფასებისგან თავს იკავებს.

### „კრემლისკენ კი მიგალ მარა?..“

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ მოსკოვში გაემგზავრა.

რუსეთის დედაქალაქში იგი მოლაპარაკებებს გამართავს საქართველოსთვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესაძლებლობა და ორ ქვეყანას შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის აღდგენა.

### სამშობლოთი ვაჭრობსო

პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერის ზურაბ ნოღაიდელის მოსკოვში მორიგი ვიზიტის შეფასებისას საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი აცხადებს, რომ ნოღაიდელი მოსკოვში სავაჭროდ წავიდა, ოღონდ ის ვაჭრობს საკუთარი ქვეყნის ინტერესებით.

**ჯი-ეიჩ-ენი**

თემა

# ხელისუფლება დანაშაულის კრებსითობას ვერ ელევა

**ქვეყანაში კანონმდებლობა კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლება. მართალია, ზოგიერთი ცხოვრების რეალობით არის ნაკარნახევი, მაგრამ ბევრი მუხლობრივი ცვლილება საერთოდ კანონმდებლობაში ვერ „ჯდება“ და იურიდიული ნონსენსია. განსაკუთრებით ხშირია ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში. ყველაფერი ისე ჩქარა ხდება, რომ მის გაცნობას ვერ ასწრებენ მხარეები, მათი დამცველები, საშუალო და დაბალი ფენის სამართალდამცველები (მისი კითხვით არც მაღალი ეშელონების ჩინოვნიკები იკლავენ თავსძ. მოსახლეობის იურიდიულ გაუთვითცნობიერებას კარგად იყენებენ პროკურატურა და სასამართლო გამოძიება, რომლებიც ახალ აზდაუზდა კანონებს თავისებურ ინტერპრეტაციას უკეთებენ და პრაქტიკულადაც ახორციელებენ.**

ის, რომ დამნაშავე ჩადენილის ადეკვატურად უნდა დაისაჯოს, არავისში არ იწვევს გაღიზიანებას. უფრო მეტიც, მიესალმებიან კიდევაც, რადგან საზოგადოება დაიღალა მომრავლებული დანაშაულით, კანონების გამკაცრებას იურისტებიც მიესალმებიან. მათ მაგალითად მოჰყავთ „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და საკანონმდებლო ბაზის გამკაცრება, მაგრამ იგივე იურისტები გაოცებას ვერ მალავენ იმ სახეცვლილი მუხლების გამო, რომლებიც ვერაფრით ვერ ესადაგებიან იურიდიულ ლოგიკას. სწორედ ბურუსით მოცული მუხლები აძლევენ პროკურატურასა და შსს-ს საშუალებას, შეხედულებებისდა მიხედვით განსაზღვრონ, არის თუ არა პიროვნება ქურდული სამყაროს წევრი. მათ ნებისმიერი ადამიანის დაკავება შეუძლიათ ამ მოტივით, რომელსაც შემდეგ კანონის ჩარჩოებში აქცევენ.

**ნოდარ გიორგაძე, იურისტი:** „2007 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით არსებობდა როგორც დანაშაულთა კრებითობა, ისე უმაღლესი სასჯელის მიერ დანარჩენების შთანთქმა. სასამართლო არჩევანში თავისუფალი იყო და შეეძლო გადაწყვეტილების გამოტანა ჩადენის სიმძიმის მიხედვით. თუ ადამიანს რამდენიმეგზის ჰქონდა დანაშაული ჩადენილი და მისი გამოსწორება შეუძლებელი იყო, მხოლოდ მაშინ გამოჰქონდათ მისთვის კრებსითი სასჯელი. 2007 წლის ივნისში სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა იურისტების, სპეციალისტების, ექსპერტებისა და თვით სამართალდამცავების (ფარულადძ გაოგნება გამოიწვია. ძალაში შევიდა წარსულში ჩადენილ დანაშაულთა კრებსითობა. თუ კაცი ადრე ქურდობისთვის იყო ნასამართლევი და მსგავსი ქმედებისათვის კვლავ დააპატიმრეს, ხდება მოხდილი და მოსახდელი სასჯელის შეკრება.

გლდანელი რომან ტაბუციძე წარსულში ქათმის ქურდობისთვის იყო ნასამართლევი. მან ამჯერადაც იქურდა – მოიპარა პური. სასამართლომ ტაბუციძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (4 ძველი, მოხდილი და 4 ახალი დანაშაულისთვისძ. წინა კოდექსით მას 5-წლიან პატიმრობას მიუსჯიდნენ მუხლით – ქურდობა ჩადენილი არაერთგზის (ქათამსა და პურს რა კატეგორიის ხალხი იპარავს, ყველასთვის ცხადია, პროკურატურამ არ გაითვალისწინა მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და „ნულოვანი ტოლერანტობის“ დევიზით მოსამართლესთან ერთად 7 წელი მიუსაჯაძ.

**ნინო შერაზადაშვილი, ფსიქოლოგი:** „თუ ადამიანი დანაშაულის ტოლფას სასჯელს იხდის, მას არ უჩნდება აგრესია. მაგრამ თუ სასჯელი ბევრად აღემატება ჩადენილს, ყოველივე ძალიან ცუდად მოქმედებს მის ფსიქიკაზე. ამის გამო მსჯავრდებულის გამოსწორების შანსი მინიმალურია. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა არ ემსახურება ადამიანის გამოსწორებას. ის პიროვნების მაქსიმალური დასჯისაკენ არის მიმართული. იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კანონის გამკაცრება დანაშაულის აღმოფხვრისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ ნაკარნახევია ადამიანის სიძულვილით“.

ჩვენმა პარლამენტმა ჯერ კიდევ დაკავებულ ექვემდებარებმ ტანილებზე განავრცო დანაშაულებზე სასჯელის ერთობლიობა. შოთა ორკოდაშვილმა რესტორანში იჩხუბა, ვიღაცას ტუჩი გაუხეთქა, ვილაცას მუცელში წიხლი ჩაარტყა, რასაც ჭურჭლის მტვრევა მოჰყვა. მთვრალი დებოშიორი „პატრულმა“ ადგილზევე დააკავა. მას იმავე დღეს ბრალად წაუყენეს ხულიგნობა, სხეულის დაზიანება და სხვისი ქონების განადგურება, რითაც 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთა ელის. 22 წლის ახალგაზრდა, ცოლ-შვილიანია, იგი მუშაობს და ქურდული მენტალიტეტის მატარებელი არ ყოფილა. თუ ყოველივეს გავითვალისწინებთ, ორკოდაშვილს სასჯელის ვადა მინიმუმ 12 წლამდე შეუმცირდება.

მარნეულელ მურად გასანოვს სხვადასხვა დროს მოპარული არყის სახდელი სპილენძის ორი ქვაბისა და მავთულებისათვის კრებსითობის წესით 13 წელი მიუსაჯეს. მსჯავრდებული 18 წლისაა. იგი საზოგადოებასა და ოჯახს 31 წლისა დაუბრუნდება.

**ნოდარ გიორგაძე:** „მოდით, დავფიქრდეთ, საით მიექანება ჩვენი საზოგადოება და იურისპუდენცია. სასჯელი ხომ პიროვნების საზოგადოებისგან იზოლირების მიზნით გამოაქვთ. ამ შემთხვევაში ვინ უფრო საშიშია საზოგადოებისთვის: მკვლელი, რომელსაც 7-წლიან პატიმრობას უსჯიან, ნარკოტიკების რეალიზატორი (9 წელი პატიმრობაძ, თუ რესტორანში მოჩხუბარი ორკოდაშვილი, ან სპილენძის ქვაბების პარია გასანოვი? ყოველივე მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს სასამართლოსადმი, უნდობლობას აჩენს მასში“.

ერთი პერიოდი გავრცელდა ხმები, რომ დანაშაულებზე სასჯელის კრებსითობა აღარ იქნებოდა, უმაღლესი შთანთქავდა დანარჩენთ. მაგრამ ნაციონალების იდეოლოგებმა ყველანი დააწყნარეს. მათ დაადასტურეს, რომ კანონში ცვლილებები შედიოდა. მაგრამ იქვე განმარტეს, რომ რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელები შეიკრიბება და შემდეგ გაიყოფა შუაზე. თუმცა პროკურორის პრეროგატივად კვლავ რჩება განსასჯელის მიმართ მოითხოვოს სასჯელის კრებითობა.

როგორც ჩანს, პროკურატურა ვერ ელევა კრებსითობის პრინციპს, მოსამართლეს კი ამ შემთხვევაში არავინ არაფერს ეკითხება.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ სამშენებლო სექტორი

# სახლის შენებას რა უნდა?!

## ყარტაყურტა ხალხის თავიდან მოსაცილებლად...



**მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა სხვასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ და, იპოთეკური კატაკლიზმის დადგომამდე, ყველაზე სწრაფად განვითარებად სეგმენტზე — სამშენებლო ინდუსტრიაზეც უაღრესად ნეგატიურად იმოქმედა. ამას თუნდაც შარშანდელი იპოთეკური სესხების შესახებ მონაცემთა მარტივი ანალიზი მოწმობს: მიზნობრივი კრედიტი ბანკებიდან მხოლოდ 62 ოჯახმა გაიტანა, ხოლო წინა, 2008 წელთან შედარებით კრედიტების მთლიანი მოცულობა დაახლოებით 9 პროცენტით შემცირდა.**

ამასთან, ექსპერტული შეფასებით, შარშანდელი წლის მეორე ნახევრის მონაცემების შესწავლით ირკვევა, რომ უძრავი ქონების ბაზარზე გარკვეული პოზიტიური ძვრები მოხდა, რაც ერთგვარი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელია.

უძრავი ქონების გამყიდველები და მყიდველები, ასევე ბინების მაკლერებიც და მშენებლებიც აღნიშნავენ, რომ სადღეისოდ **უძრავი ქონების ფასი, გარკვეულწილად, სტაბილურია, თუმცა ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ წლეულს შემოდგომაზე, უკვე აშენებული ბინების დეფიციტის გამო, შესაძლოა მათი ფასის დაახლოებით 10 პროცენტის ფარგლებში გაზრდა.**

მიუხედავად იმისა, რომ შარშან დეველოპერულ სექტორში, წინა ორი წლის მაჩვენებლებთან შედარებით, აქტივობა რამდენადმე უფრო დაბალი იყო, გარკვეული პროგრესი წლის მეორე ნახევარში სამშენებლო კომპანიებმა მთლიანობაში მაინც მოახერხეს: წლის დამდეგთან შედარებით, ზაფხულ-შემოდგომაზე ამ სფეროში დაახლოებით ოთხი ათასი კაცით მეტი იყო დასაქმებული. დაახლოებით ასეთ სიტუაციას ვარაუდობენ წელსაც: **ექსპერტების ნაწილის აზრით, სამშენებლო სექტორში გამოცოცხლება და გარკვეული, დაახლოებით ათი პროცენტის ფარგლებში, ზრდა, გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდშია მოსალოდნელი.** ამ ვარაუდს კი საფუძვლად ის გარემოება უდევს, რომ, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მტკიცებისა, რომ ბოლო დროს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ იმატა, **სამშენებლო კომპანიებმა აქტიურობა თავად გაღებული ან მოძიებული სახსრებით დაიწყეს.** საქმე ის არის, რომ გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მშენებლობა უფრო ადვილია. ამიტომ დეველოპერული კომპანიები ეცდებიან დასამთავრებელი შენობების მშენებლობის ამ დროისთვის დასრულებას და შემდგომ რეალიზაციას, ამიტომ სავარაუდოდ, ფასების შემცირებას მიჰყვებიან.

ამავე დროს ცალკეა აღსანიშნავი, რომ, როგორც ეს ჯერ კიდევ მსოფლიოში იპოთეკურ კრიზისულ მოვლენებამდე და, მით უმეტეს, 2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ხუთდღიან ომამდე დიდი ხნით ადრეც ადვილად განსაჭვრეტი იყო, საქართველოს დეველოპერულ სექტორში თავიდანვე დანერგილი პრაქტიკა, რომლის შესაბამისად, აშენებული საცხოვრისებისა თუ კომერციული ფართების ბედი მთლიანად გაყიდვაზე იყო დამოკიდებული, ხოლო სამშენებლო კომპანიებს თუნდაც რამდენადმე ხანგრძლივი ვადით მოცდის დრო არ ჰქონდათ, საბოლოო ანგარიშით, მშენებელთათვის წამგებიანი აღმოჩნდა. **საქმე ის არის, რომ უსახსრობის, კონკურენციის, ანდა ბანკების ვალების გასტუმრების გამო „ცაიტნოტში“ ჩავარდნილი სამშენებლო კომპანიები იძულებულნი იყვნენ, აშენებული ფართები წინასწარ მეტად დიდი ხნით განვადებით გაეყიდათ,** რაც ნეგატიურად აისახა ცალკე მათ შემოსავალზე, ცალკე ბალანსებზე. თავდაპირველად განვადებები მშენებლობის ხანგრძლივობით (დაახლოებით 2-3 წლით) შემოიფარგლებოდა, მაგრამ შემდგომ დეველოპერული კომპანიები თავის გადასარჩენად იძულებულნი გახდნენ, განვადების პერიოდები 10-15 წლამდე ვადით, ზოგჯერ მეტადაც გაეზარდათ, რაც, მართალია, მყიდველისთვის საკმაოდ შეღავათიანია, მაგრამ სამშენებლო ფირმას ნამდვილად ხელს არ აძლევს. **მიმდინარე ხარჯის დასაფარად დეველოპერულ კომპანიებს მშენებარე ფართების 80 პროცენტის გაყიდვა მაინც წინასწარვე უწევდათ,** წინააღმდეგ შემთხვევაში განვადების გრაფიკები ვერ უზრუნველყოფდნენ მშენებლობის ტემპს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ **თუ სამშენებლო პროექტის რეალიზების პროცესში გაირკვევა, რომ მისი ბიუჯეტის დაგეგმილი ხარჯი 10 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, პროექტის დაგეგმილ მოგებაზე გასავლელად, წინასწარ 80 პროცენტ გაყიდულ ფართს გარდა დარჩენილ გასაყიდ ფართზე ფასი 50 პროცენტით მაინც უნდა გაიზარდოს.** აი, მაშინ იყო თუ იყო სამშენებლო ფინანსური პირამიდების დრო და ჟამი! წარმოიდგინეთ, ბატონებო: უმნიშვნელო ინფლაციაც კი მშენებლობის ხარჯს დაახლოებით ორ-ხუთჯერ, ხშირად მეტადაც კი ზრდიდა, რამაც ათასი ჯურის აფერისტისთვის სამშენებლო სფერო ანდამატივით მიმზიდველი გახადა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი იმის მიზეზი გახდა, რომ სამშენებლო დარგში უკიდურესად გამძაფრდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და, გარდა ამისა, მშენებლები ფასების მომატების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. ეს მდგომარეობა უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა და ამიტომაც იყო, რომ ძალიან ხშირად **ერთი რომელიმე კონკრეტული სამშენებლო პროექტის დასასრულებლად სახსრების მოსაპოვებლად ესა თუ ის კომპანია იძულებული იყო მეორე პროექტის განხორციელებას შედგომოდა,** თუმცა მრავალჯერ ამ განზრახვას აღსრულება არ ეწერა მიწაზე ფასების უსაშველო ზრდის გამო.

მრავალ მშენებელსა და არქიტექტორს მიაჩნია, რომ დარგში წესრიგის დასამყარებლად **აუცილებელია იმ ფინანსური ნორმატივების ჩამოყალიბება-დამტკიცება, რომლებიც შესაძლებელს გახდის სამშენებლო სექტორის თანამედროვეობის შესაბამის დონეზე მართვას.** ამასთან, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სამშენებლო დარგის გამჭვირვალობის დონის ამაღლებისთვის, შექმნას შესაბამისი ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სათანადოდ გააკონტროლებს დეველოპერული კომპანიების მოღვაწეობას. ამავე დროს, სამშენებლო სფეროს გასაწმენდად, იქიდან, რომ იტყვიან, „ყარტაყურტა“ ხალხის მოსაცილებლად, აუცილებელია ფირმების სავალდებულო ლიცენზირების შემოღებაც.

თორემ არ შეიძლება, ყველამ, ვისაც აგურის აგურზე დადება უნდა, უბრალოდ, ლურსმანის მიჭედება შეუძლია, თავს „მშენებელი“ უწოდოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია თემაში

*უძრავი ქონებით მოვაჭრე სააგენტოების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2009 წელს თბილისში ერთ და ოროთახიანი ბინების გაყიდვამ 10-15 პროცენტით მოიმატა. დედაქალაქის ცენტრში ერთოთახიანი ბინის ფასი შარშან 35-დან 40 ათას დოლარამდე (სადღეისო კურსით 60-68 ათასი ლარი), ხოლო ოროთახიანის — 50-დან 80 ათას დოლარამდე მერყეობდა (შესაბამისად, 85-135 ათასი ლარი). ქალაქის გარეუბნებში საცხოვრებლის ფასი ცენტრთან შედარებით, ცხადია, უფრო ნაკლები იყო. კერძოდ, ერთოთახიანი ბინა 20-25 ათასი დოლარი (დაახლოებით 35-40 ათასი ლარი), ხოლო ოროთახიანი — 25-35 ათასი დოლარი (დაახლოებით 40-60 ათასი ლარი ღირდა. უძრავი ქონების ბაზარზე ე.წ. „თეთრი კარკასით“ „არაპრესტიჟულ უბნებში“ ბინის ერთი კვადრატული მეტრის ფასი 450-500 დოლარის ფარგლებში მერყეობს, ხოლო „პრესტიჟულებში“ ფასები, ფაქტობრივად, არ იცვლება და 1800-დან 3000 დოლარის ფარგლებშია.*

◉ ვაი რეფორმისგან

# საავადმყოფოებში ოპერაციებს დაზღვევის მენეჯერები აკეთებენ?!

## პრეზიდენტის მცდელობით თუ მინისტრის უმცდელობით ჯანდაცვის პროგრამა ჩავარდა

***დღეს ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორში შექმნილ ვითარებას თუ გაეცნობით, შეიძლება ასეთი შეკითხვა მართლაც დაგებადოთ, თანაც ისე, რომ „შავი სათვალის“ გაკეთება საერთოდ არც კი დაგჭირდეთ. მერწმუნეთ, ასე აჯობებს. ვერ გამიგია, რატომ უნდა დავაეჭვოთ პრეზიდენტი სააკაშვილი „შავი სათვალით“ აღქმული რეალობის ჭეშმარიტებაში (გახსოვთ, ალბათ, ოპოზიციას „შავი სათვალის“ მოხსნა მოსთხოვა), როცა „ნაცების“ მიერ აშენებული ქვეყნის „სიმშვენიერე“ უშავსათვალოდ გაცილებით უფრო „მიმზიდველად“ გამოიყურება(!).***

მერე რომ არ გამომრჩეს, აქვე მინდა შევნიშნო. იმ ხათაბალას, რასაც ბატონი მიხეილ სააკაშვილი ამას წინათ პარლამენტში ანგარიშით გამოსვლისას გადაეყარა, ალბათ, სულ იოლად გადარჩებოდა, ადრევე რომ გახსენებოდა და „შავი სათვალე“ ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში „წარმატებულად“ მიმდინარე რეფორმებისათვის თავიდანვე მოეხსნა. მაშინ ხალხიც გადაურჩებოდა ამ მაოხრებელ რეფორმებს და თავად პრეზიდენტსაც აღარ დასჭირდებოდა იმის აღიარება, რომ განათლების რეფორმასთან ერთად ჯანდაცვის რეფორმაც წარმატებით ჩავარდა. არადა ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ძნელი იქნებოდა ამის აღიარება ომმოგებული ქვეყნის მეთაურისთვის, რომელიც ოკუპანტმა რუსეთმა ჩოქბჯენში ვერა და ვერ გადაიყვანა!

აი, ამ რეფორმებმა კი, რომლის წყალობითაც საქართველომ მთელ მსოფლიოში მოიპოვა პირველი რეფორმატორი სახელმწიფოს საპატიო წოდება, როგორღაც გაბზარეს ჩვენი შეუვალი პრეზიდენტის ჯიუტი გაუტეხლობა. ისე, კაცმა რომ თქვას, საქართველოში ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირების პროექტის ავტორი სულაც არ გახლავთ „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლება. ის ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს შეიმუშავა მსოფლიო ბანკმა, ოღონდ სულ სხვა პროგრამით. კერძოდ, იმ პროექტის მიხედვით, საავადმყოფოების ერთი ნაწილი უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში, მეორე ნაწილში მოხდებოდა პრივატიზაცია, ოღონდ სამედიცინო ფუნქციის შენარჩუნებით, ნაწილი კი გაიყიდებოდა, როგორც უძრავი ქონება. ამასთან, აუცილებლად უნდა შექმნილიყო სპეციალური ორგანო, რომელიც პროგრამის მიმდინარეობას გააკონტროლებდა.

მაშინ აბა ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს ვარდისფერ ხელისუფლებასთან ერთად მოევლინებოდა ეკონომიკის უბადლო იდეოლოგი და პრაქტიკოსი, მსოფლიოში იგავმიუწვდომელი რეფორმატორი კახა ბენდუქიძე, რომელიც მსოფლიო ბანკის, სხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებს რუსეთში ნაპატივებ ტროყია ფეხებზე დაიკიდებდა და ქვეყნის მომწიფებულ რეფორმებს საკუთარი პროგრამით წარმართავდა. რა საჭიროა საავადმყოფოების კატეგორიებად დაყოფა და რაღაც ხელოვნური ხლართების შექმნაო, გაიფიქრა ეკონომიკის მინისტრმა (იგივე ბენდუქიძემ) და ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირების „მარტივი“ პროგრამა შეიმუშავა. ამ პროგრამის მიხედვით ერთ წელიწადში მოხდებოდა არსებული საავადმყოფოების პრივატიზაცია და მიღებული თანხებით ახალი, ევროსტანდარტებით გაწყობილი 100 საავადმყოფოც აშენდებოდა. რა დრო დასჭირდებოდა მათ აშენებას? ჰა, ჰა 2 წელიწადი. და სასწრაფოდ გამოცხადდა ტენდერი, გამოვლინდნენ გამარჯვებული კომპანიებიც, რომელთა შორის ლიდერობდა „ბლოკ-ჯორჯია“ (მას არსებული საავადმყოფოების 80 პროცენტი გადაეცა, თავის ინფრასტრუქტურით და 100 მილიონად შეფასებული ქონებით). მან ივალდებულა, რომ 2009 წლის მარტში დაასრულებდა ნაკისრი საავადმყოფოების მშენებლობას.

იხ. 5 გვ.

◉ არის წინადადება

***კარგად ვხედავთ, რომ საქართველოში ჩატარებული რეფორმებით ფაქტობრივად გაუქმდა საშუალო სკოლები და პრაქტიკულად აღარ გვაქვს უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტის აღორძინება კი წარმოუდგენელია მაღალი დონის საშუალო სკოლების არსებობის გარეშე. ამ ხელისუფლების პირობებში კი შეუძლებელია მაღალი დონის სახელმწიფო საშუალო სკოლების დაარსება. ეს კი კატასტროფის ტოლფასია, რადგან უახლოეს მომავალში საქართველოში მთლიანად გაქრება ინტელიგენციის ფენა. აღარ გვეყოლებიან არა მარტო მეცნიერები და ხელოვნების წარმომადგენლები, არამედ ექიმებიც, მასწავლებლებიც და ინჟინრებიც. იურისტებისა და ეკონომისტების უზომოდ დიდი სიჭარბე ამ სპეციალობის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობის უმუშევრობას განაპირობებს.***

# განათლების გადარჩენა მხოლოდ სკოლის აღორძინებით შეიძლება



უდიდესი ბოროტება იყო საშუალო სკოლების გაუქმება და მათ ნაცვლად „საჯარო სკოლების“ დაარსება ძალზე დაბალი დონის სასწავლო პროგრამებით და გონებასუსტი ბავშვებისთვის დაწერილი სახელმძღვანელოებით. ასეთ პირობებში პირველ რიგში დაიჩაგრა ნიჭიერი ბავშვი, რომელსაც ამ ქვეყანაში ღმერთის მიერ ბოძებული ნიჭის გამოვლენის საშუალება წაართვეს.

მასწავლებელთა მდგომარეობა კატასტროფულია! იმდენად დააბეჩავეს, რომ არჩევნების წინ „საჩუქრად გაცემულმა“ 100-ლარიანმა „ვაუჩერმა“ მათში ისეთი აღტაცება გამოიწვია, მათი ხილვა საცოდაობა იყო! ცხადია, თუ მათი ხელფასი მოსკოველი კოლეგის ხელფასს 10-ჯერ ჩამორჩება (იქ მასწავლებლის საშუალო ხელფასი 34,5 ათასი რუბლია), განა გასაკვირი უნდა იყოს მათი საარჩევნოდ „მოსყიდვის ეფექტიანობა“?

დღეს სკოლებში „სამხედრო სწავლების“ შემოღება მთლიანად გაანადგურებს ისედაც უმწეო სასწავლო პროცესს, რადგან 2000 სამხედრო მასწავლებელი სკოლებიდან სხვა ტრადიციული საგნის ამდენივე მასწავლებელს განდევნის. სასურველია სამხედრო სპეციალიზებული სკოლების შექმნა, მაგრამ „საჯარო სკოლებში“ სამხედრო საგნების შეტანა სკოლების დივერსიას ნიშნავს!

რა გამოსავალი არსებობს? სკანდინავიის ქვეყნებში და ჰოლანდიაში სკოლების 50 პროცენტზე მეტი არასახელმწიფოა. ისინი მშობელთა ასოციაციების, ეკლესიის ან მსხვილი კორპორაციების მიერაა დაარსებული. ამ სკოლებში უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობიან ბავშვებს. აღსანიშნავია, რომ დასავლეთში ყველაზე მდიდარი სკოლებიც კი ცდილობენ, რომ ადგილების 20 პროცენტი ღარიბ, მაგრამ ნიჭიერ ბავშვებს დაუთმონ. ჩვენთან ამისი პრაქტიკა არ არის. აქ სკოლებს მხოლოდ ენთუზიასტები აარსებენ, მსხვილი კორპორაციები კი თავს არ იწუხებენ ქვეყნის განათლების უკიდურესად მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად. თუ მიხეილ ხოდორკოვსკიმ თავის დროზე მაღალი დონის სკოლა შექმნა, ჩვენი მილიონერი მეცენატები რატომ სდუმან?

ამდენად, უნდა დაარსდეს არასახელმწიფო სკოლები ნიჭიერი ბავშვებისთვის, რომელთა სრული დაფინანსება მეცენატებმა უნდა ითავონ.

ჩვენი ვალია, დავაარსოთ „აკადემიური სკოლები“ (ამერიკული „აკადემიური სკოლების“ მსგავსად) მაღალი დონის სასწავლო პროგრამებით და უმაღლესი დონის მასწავლებლებით, სადაც სწავლება იქნება უფასო, მაგრამ მკაცრი საგამოცდო პროცესით. ასეთი სკოლა დღეს შეიძლება დაარსდეს მხოლოდ კერძო შემოწირულობების ხარჯზე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში შემოწირულობები არ უნდა იყოს მშობლებისგან მიღებული. სკოლებმა უნდა შემოიკრიბოს უნიჭიერესი ბავშვები, რომლებიც მკაცრი სასწავლო რეჟიმის პირობებში მიიღებენ მაღალი დონის განათლებას. მოსწავლეთა შეფასებები უნდა იყოს მკაცრი და ობიექტური. უნდა ხდებოდეს მოსწავლეთა განთესვა კლასიდან კლასში გადასვლისას. სკოლის მასწავლებლები სამეცნიერო ხარისხების მიხედვით უნდა იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორის (ასოცირებული პროფესორის და ა.შ.) ხელფასებს.

„აკადემიური სკოლის“ დანიშნულებაა მაღალი დონის ახალგაზრდების მომზადება უმაღლესი სკოლებისთვის. მართალია, შესაფერისი უმაღლესი სკოლები ამჟამად მხოლოდ საზღვარგარეთაა, მაგრამ ნიჭიერ ბავშვებს გზა უნდა გაეხსნათ უმაღლესი დონის განათლების მისაღებად, რათა ქართული ინტელიგენციის ახალგაზრდული ნაწილი საზღვარგარეთ მაინც შევინარჩუნოთ მანამ, სანამ ჩვენ აქ შესაბამისი დონის უნივერსიტეტს არ დავაარსებთ. დღევანდელი აბიტურიენტების ცოდნის დონე ამის საშუალებას არ იძლევა.

ჩვენი მოვალეობაა, დავარწმუნოთ საქართველოში (ან საზღვარგარეთ) მცხოვრები მილიონერები, რათა დააფინანსონ თითო „აკადემიური სკოლა“, რომელთა საქმიანობასაც „ქართული აკადემია“ უხელმძღვანელებს. „ქართული აკადემია“ სკოლებისთვის შექმნის სასწავლო პროგრამებს და შესაბამის უნიფიცირებულ სახელმძღვანელოებს, მკაცრ კონტროლს გაუწევს სკოლების საქმიანობას და გასცემს შესაბამის ატესტატებს, რომელთა ნოსტრიფიცირება მოხდება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

რეგიონებში ანალოგიური სკოლები შეიძლება შექმნან „ქართული აკადემიის“ ფილიალებმა.

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადემია“**

◉ კახეთის მხარე

# თანამდებობებზე ყოფილ პოლიციელებს ნიშნავენ

## არჩევნების წინ უზატონო ქიზიყელთა დაბეჩავებას ყოფილი ძალოვნების თანამდებობებზე მოყვანით გეგმავენ?

**ახლახან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ლევან ბაღაშვილის გადაწყვეტილებით, სოფელ ზემო მაჩხაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულად ლევან იაკობიშვილი დაინიშნა. არცთუ სუფთა წარსულის მიუხედავად, მას სოფლის თავკაცის სავარძელი მაინც უბოძეს. არადა, იაკობიშვილი ქედების ზონის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსობიდან ქრთამის აღების გამო დაითხოვეს, გამომძალველი პოლიციელები კი სკანდალურად დააკავეს. როგორც „ქიზიყმა“ გაარკვია, პოლიციური წარსულის იაკობიშვილი ერთადერთი არ გახლავთ, რომელიც სოფლის საკრებულოში დასაქმდა.**

კიდევ ერთი ექს-პოლიციელი გოჩა ყაჭაშვილი ამჯერად სოფელ ოზაანის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტი გახლავთ. ყაჭაშვილი ჯერ შს დედოფლისწყაროს სამმართველოში მუშაობდა, შემდეგ კი ეკოლოგიურ პოლიციაში... ოზაანელები ამტკიცებენ, რომ ყაჭაშვილი სოფელში დადებითად სულაც არ ხასიათდება...

თავად გოჩა ყაჭაშვილი ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ ოზაანის ტერიტორიულ ორგანოში ის გამგებელთან შეთანხმებით მუშაობს:

„რეკომენდაცია ოზაანის ყოფილმა რწმუნებულმა ზაზა მეხრიშვილმა გამიწია და გამგეობას ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. განიხილეს და აღმოჩნდა, რომ იგი მათთვის მისაღები იყო და საკრებულოს გადაწყვეტილებითა და გამგებელ ლევან ბაღაშვილთან შეთანხმებით, სოფელ ოზაანის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტად დავინიშნე“.

ადგილობრივები ამგვარ გადაწყვეტილებებს უარყოფითად აფასებენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი ექს-ძალოვნების თანამდებობებზე გადანაწილებას ადგილობრივი არჩევნების მოახლოებას უკავშირებენ. ოზაანელები ირწმუნებიან, რომ ყაჭაშვილი სოფელში არცთუ კარგი რეპუტაციით სარგებლობს...

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის კახეთის რეგიონულ ოფისში აცხადებენ, რომ ამ ფაქტებით უთუოდ დაინტერესდებიან და უახლოეს დღეებში მოკვლევას დაიწყებენ.

ჩვენს მიერ დედოფლისწყაროს ქუჩებში გამოკითხული მოსახლეობა სოფლებში ყოფილი პოლიციელების თანამდებობებზე დანიშვნას მაისში დანიშნულ არჩევნებს უკავშირებს და აცხადებს, რომ ამგვარი საკადრო ცვლილებები დედოფლისწყაროში წინასაარჩევნოდ მოსახლეობის დასატერორებლად ხორციელდება.

თავად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ამგვარ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. ლევან ბაღაშვილი გამგეობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებში უცნაურს ვერაფერს ხედავს და არჩევნებთან ყოველგვარ კავშირს გამორიცხავს.

**ლევან ბაღაშვილი, (დედოფლისწყაროს გამგებელი):** „ყაჭაშვილი ახლა არ დაგვინიშნავს. რამდენიმე თვეა ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტია. არანაირ არჩევნებს არ უკავშირდება“...

საკადრო ცვლილებები დედოფლისწყაროს გამგეობაში ახლახან განხორციელდა. თანამდებობები ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე სოფლის რწმუნებულმა დატოვა. სოფლების ოზაანის, გამარჯვების, ზემო მაჩხაანისა და ქვემო ქედის გათავისუფლებული რწმუნებულები ჩვენთან საუბრისას ერთმანეთის მიყოლებით საეჭვოდ იმიზეზებენ, რომ საცხოვრებლად თბილისში გადადიან და ცვლილებები ამიტომ განხორციელდა. საწინააღმდეგო ხმები ვრცელდება კულუარებში. აქტიურად საუბრობენ, რომ ცვლილებები მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებს უკავშირდება.

შეგახსენებთ, იაკობიშვილისა და ყაჭაშვილის გარდა, კიდევ ერთი ექს-ძალოვანი, ყოფილი პროკურორი მერაბ ფიროსმანაშვილი, რომელიც სიღნაღი-დედოფლისწყაროს პროკურატურაში მუშაობდა, ახლახან ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

დედოფლისწყაროში მოქმედი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფილი ძალოვნების მასობრივ გადანაწილებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ მოსახლეობის ტერორის გაძლიერებით ხსნიან.

„ხალხი კარგად რომ დაამონონ და დააბეჩაონ, ასე იმიტომ ხდება... ხომ გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნებზე უზატონო ქიზიყელები ისე დააშინეს, რომ შემოხაზულ ბიულეტენებს საარჩევნო კაბინასთან მდგომ ნაციონალებს ცხვირწინ უფრიალებდნენ და მიცემული პირობის შესრულებაში არწმუნებდნენ. ასეთი ტერორი გინახავთ ოდესმე?“ — აღშფოთებას ვერ ფარავენ დედოფლისწყაროელები ვარდიკო ბოსტოღანაშვილი, შოთა კოპლატაძე და ქეთევან მჭედლიშვილი და რაიონში არსებულ ანარქიასა თუ განუკითხაობაზე კიდევ ერთხელ მიანიშნებენ.

**ილია მარტყოფლიშვილი**

◉ წკეპლიკა

## დაჩოქვისა და დაოთხვისა გამო

**„გუშლამ“ კოჯორში, იუნკრების საფლავებთან ჩირაღდნებით შეკრებილ სტუდენტებთან მიხეილ სააკაშვილი მიბრძანებულა და მორიგი მგზნებარე „რეჩი დაურტყამს“: საქართველო არასდროს არ დაიჩოქებსო; საქართველო დაოთხილი არასდროს არ შეებმება ვინმეს უღელშიო...**



**დიდება შენს სახელს, ღმერთო! ამას ამბობს საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც გორში, ავადმოსაგონარი იმ აგვისტოს დღეს, გვიჩვენა ჩვენ და უჩვენა მთელ მსოფლიოს დაჩოქვისა და დაოთხვის, უარესი — მიწაზე გართხმის უთვალსაჩინოესი და უსამარცხვინოესი მაგალითი!**

**და კიდევ — სირცხვილია ოკუპანტებთან თანამშრომლობაო, სირცხვილია, რა თქმა უნდა, ამას რა დიდი სიბრძნე და რა ალიკვალი უნდა, ოღონდ ოკუპანტებისთვის ამდენი რამის მიყიდვა, იმათ ხელში ამდენი რამის ჩვენგან ჩაგდება რითი არ არის სირცხვილი და თანამშრომლობაზე „ვარესი“. მიუტევე უფალო, რამეთუ არა იცოდნენ, არა უწყოდნენ რასა იტყოდნენ...**

**ბნელა? ბნელა ანთებული ჩირაღდნების მიუხედავად... თანაგიგრძნობთ, იქ მყოფო სტუდენტებო! თანაგიგრძნობთ, „მედია-ტორებო“, რომლებმაც უნდა გადაიღოთ და გაავრცელოთ ასეთი რამეებიც. ჩემს თავსაც თანავუგრძნობ...**

**ჭეშმარიტად, ულიმიტოა სიბრიყვე, ზოგჯერ ძლიერთა ამა ქვეყნისაც!..**

**ლუკა გორგაძე**

◉ ვაი რეფორმისგან

# საავადმყოფოებში ოპერაციებს დაზღვევის მენეჯერები აკეთებენ?!



(მესამე გვერდიდან)

როგორ შესრულდა რეალისტი რეფორმატორის (ბენდუქიძისძ უტოპიური პროექტი? როგორც დეპუტატმა მაგდა ანიკაშვილმა პარლამენტში პრეზიდენტთან შეხვედრისას განაცხადა, **„პროექტის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ რეგიონებში 77 და დედაქალაქში 23 ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მქონე საავადმყოფოს ნაცვლად ჩვენ მივიღეთ სამედიცინო სერვისზე უკიდურესად გაზრდილი ფასები, დათრგუნული და დაშინებული სამედიცინო პერსონალი, რომელსაც ყოველდღიურად სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებიან და, რაც მთავარია, დანგრეული საავადმყოფოები, სადაც პაციენტების მკურნალობა მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. კომპანია „ბლოკ-ჯორჯიამ“, რომლის თაობაზეც ქრისტიან-დემოკრატებმა უკვე მივმართეთ გენერალურ პროკურატურას, სამი წელი მოანდომა ხუთი საავადმყოფოს კოსმეტიკურ რემონტს, რაც ნიშნავს, რომ სამუშაოს 95 პროცენტი ჯერაც შეუსრულებელია“.**

ერთი სიტყვით, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, პროექტი ჩაფლავდა, მაგრამ ამისთვის პასუხი რომ არავის უგია? არც მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს (რომელიც ახლა ოპოზიციაშიაძ, არც იდეის ავტორს კახა ბენდუქიძეს, არც ყოფილ ჯანდაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს, და წარმოიდგინეთ, არც კომპანია „ბლოკ-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნდა ჩამორთმეოდა საავადმყოფოები და მისი



საგარანტიო თანხა ბიუჯეტში გადარიცხულიყო. თუმცა „ბლოკ-ჯორჯიამ“ ისეთი გამოსავალი იპოვა, დასჯიან კი არა, უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს. ასეთი რა იპოვა, არ გაინტერესებთ? კრედიტი(!ძ. დიახ, „ბლოკ-ჯორჯიას“ თავკაცები თურმე ახლა ჩეხოსლოვაკიაში დარბიან კრედიტის მოსაძიებლად, აიღებენ მას და საავადმყოფოებსაც რამდენიმე თვეში გააშანშალებენ...

**ასეა, უტოპიური პროექტის ავტორთა და შემსრულებელთაგან ყველა მართალია, გარდა ხალხისა. ერთადერთი ხალხია, რომელმაც პასუხი უნდა აგოს უთაური ხელისუფლების შეცდომებისათვის. აკი ვერც ასცდა ამ პასუხისმგებლობას. რეფორმა ჰოსპიტალურ სექტორში დამღუპველი აღმოჩნდა როგორც ექიმებისთვის, ისე პაციენტებისთვისაც, რომლებსაც სამედიცინო მომსახურების ხარისხის მკვეთრად გაუარესების პარალელურად, მის საფასურად გადახდილი თანხების ოდენობა 4-ჯერ და მეტად გაუძვირდათ.**

ვიცი, ზოგი ვინმე შემომედავება და გამამტყუნებს: აბა რა სისულელეს ამბობ, ხელისუფლება გიჟი კი არ იყო, უმწეო მოსახლეობის დასახმარებლად იაფი დაზღვევა რომ შემოიღო, დღეს ყველას შეუძლია რაღაც გროშებად დაეზღვიოს, შეღავათიან ფასებში იმკურნალოს და ჯანმრთელობა შეინარჩუნოსო. ისემც რა ვუთხარი ამ იაფი ტყუილის ავტორებს, პირველ რიგში პრეზიდენტს და მერე მისი ინიციატორობით გახმაურებული „იაფი დაზღვევის“ შემსრულებლებს. **როგორც ამ სფეროში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, საავადმყოფოებში მიყვანილი პაციენტების მომსახურებაზე სადაზღვევო კომპანიები ან უარს ამბობენ, ან იმდენად იწელება მათი მოლაპარაკება სამედიცინო დაწესებულებასთან, რომ გადაუდებელი ოპერაციები არც თუ იშვიათად ლეტალობით მთავრდება. ექიმები იძულებული არიან, ან დათანხმდნენ დაზღვევის მენეჯერის წინადადებას (მისთვის ავადმყოფი ბიზნესის საგანია და ცდილობს, რაც შეიძლება იაფად გამოძვრეს), ან დაიცვან ჰიპოკრატეს ფიცი და უმუშევრად დარჩნენ.**

აქვე უნდა ვთქვათ, ამ ვაირეფორმების ეპოქაში არც იმათი ჯანმრთელობაა გარანტირებული, ვისაც ფული ჩეჩქვივითა აქვს. ასეთებს, აქაოდა ფული არ ენანებათო, ექიმები იმდენ ზედმეტ მანიპულაციებსა და მკურნალობას უტარებენ, რომ გადაჭარბებული ყურადღებისგან გართულებები ეწყებათ. გართულებებს კი რა მოჰყვება ხოლმე, არც თუ ძნელად ამოსახსნელი განტოლება გახლავთ.

გამოსავალი? უკვე მოძებნილია, პრეზიდენტის დავალებით შემუშავებულია ახალი პროექტი, რომელიც ყველა სამკურნალო დაწესებულების სადაზღვევო კომპანიებისთვის გადაცემას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე საუკეთესო ოპტიმალური გამოსავალია. სადაზღვევო კომპანიები თავად ააშენებენ 25-30-ადგილიან საავადმყოფოებს, თვითონვე განსაზღვრავენ მომსახურების ფასებსა და ხარისხს. თანაც ისე, რომ თავად მოგებული დარჩნენ, მოსახლეობა კი – ჯანმრთელობადაკარგული. აბა როგორ, ეს ხომ მათთვის ბიზნესია და მეტი არაფერი(!ძ.

**ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტისთვის? რა თქმა უნდა, არც ისინი ირჯებიან ტყუილუბრალოდ. მაისი კარზეა მომდგარი და სააკაშვილზე უკეთესად არავის ესწავლება, ხალხის თვალში რა მაგიური ძალა აქვს წინასაარჩევნოდ ნათქვამ ტყუილს.**

ოთარ ხუციშვილი

◉ ხუმრობა იქით იყოს

# მე ვიცი, რას დაჰპირდა პუტინი ბურჯანაძეს

**რა თქმა უნდა, დაჰპირდა, აფხაზეთს დაგიბრუნებ, ოღონდ ჯერ ქართველებს ნუ ეტყვიო, მერე გამოიყენე როგორც ჯოკერიო. მაგრამ არის ერთი პრობლემა, – მე კი მოგცემ, მაგრამ რა ვქნათ, თუ აფხაზებს არ უნდათო?!**

ომს აფხაზებს მე ვერ დავუწყებ, რომ მომიგონ ეს ომი, მაშინ კრასნოდარსაც წამართმევენ და გავახარებ ჩინელებს, მომადგებიან იქიდანო. ამიტომ ომი თქვენ უნდა დაიწყოთ და ან მოუგებთ, ან არაო. კადიროვი კი გავაფრთხილე, კონფლიქტში არ ჩაერიოო, მაგრამ მაგას ჩემი მტერი ენდო, ვინ იცის, რას იზამს. ზღვის პირას 50 ჰექტარი მიწა აქვს, ჯერ კიდევ არძინბამ მისცა და ერთხელ წამოსცდა – ცოცხალი თავით არ დავთმობო.

მერე პუტინი დაფიქრებულა და უთქვამს, წინდაწინ გაფრთხილებ, სანამ იაპონელებს კურილებს არ დავუბრუნებ, თქვენი საქართველოსთვის ვერ მოვიცლიო. უნდა გამიგო, სირცხვილია, 1956 წლიდან ვპირდებით, დაგიბრუნებთო და ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ. ყველა ხელს გვიშლის, ხან ყარაბახიო, ხან დნესტრისპირეთიო, ახლა კიდევ თქვენ შეგვიშალეთ ხელი. კიდევ ვინ გამოგვეჩხირება, კაცმა არ იცისო. მთავარია, მე დაგპირდები, რომ აფხაზეთს დაგიბრუნებ და შენც ეს უთხარი ხალხსო, მე თუ ვერ მოვასწარი მოცემა, შემდეგიც დაგპირდებათ. ასე ნელ-ნელა გაიტან თავს. ხომ გპირდებოდათ ელცინი, მერე მე გპირდებოდით, ახლა მედვედევი გპირდებათ. ქვეყანა არ დაიქცევა, კიდევ ვინმე თუ დაგპირდებათო.

ბურჯანაძეს რას დაჰპირდებოდა ეგ, ალბათ ყველა მიხვდით, მაგრამ იცით რა უნდა ქნას მიშამ? მე ეგეც ვიცი, მიშა, დამიჯერე! ვინმეს ხომ უნდა დაუჯერო შე კაცო, ჰოდა დაიწყე ჩემით! ყველა თუ ჩაეხუტა ამ რუსებს, მიდი და შენც ჩაეხუტე, ნატოში მაინც არ გვღებულობენ და ვინ გვიხმარს, რაღა მნიშვნელობა აქვს! პუტინი რომ ჩაგიხუტებს ან ჩაგეხუტება, ეგ ტყუილია, ჯერ მოდელივით მაღალი ხარ და შენთან რა საქმე აქვს, მეორეც, ხომ დაგინახავთ, ოფიციალურ მიღებებზე, ხან რა ტელეწამყვანებს კოცნის და ხან რა ანგელოზივით ტანმოვარჯიშეებს! შენ კი არა, ბურჯანაძესაც არ აკოცა, ქალია ხომ? მარა მაინც არ აკოცა.

ჩემი აზრით, სხვა საქმეა მედვედევი, მაგას ტანმოვარჯიშეები ნამდვილად არ კოცნიან და, საერთოდ, სარკოზის გარდა თუ კოცნის ვინმე, კაცმა არ იცის. ხომ დაინახე, როგორ დაეძგერა და ჩაკოცნა სარკოზი!!. კოცნასაა მონატრებული და შენ კი არა, ბურჯანაძეს და ნოღაიდელსაც კი აკოცებს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მაგათ ყველანაირად სჯობიხარ. იქნება სარკოზიმაც კი გაკოცოს, როგორც ჩანს ეგეც ნამეტანი გაჭირვებულია, ნახე, რა თვალებით უყურებდა მედვედევს? არადა რა ცოლი ჰყავს!

ჩემი რჩევა საჩქაროდ გაითვალისწინე, თუ არა, დარჩები უკოცნელი, ჩვენებიც და ისინიც ისე არიან მონატრებული კოცნას, რომ კასტინგიც კი მოაწყვეს, აბა შენ იცი, არ დამაღალატო. მაგათ ყველაფერში სჯობიხარ და ამ საქმეშიც უნდა აჯობო. ქართველები ყოველთვის ჭორაობდნენ, მიშას ქალები უყვარსო, როგორც ჩანს, ურჩევნოდათ, კაცები გყვარებოდათ და, ვინ იცის, იქნება ქე გაუმართლოთ ქართველებს!

**თემურ კილაძე,**
**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი**



◉ წკეპლიკა

## გაიმართა გია ჭანტურიას ოფისის პრეზენტაცია

„ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობის მერობის კანდიდატის გია ჭანტურიას ოფისის პრეზენტაცია გუშინ თავისუფლების №4-ში გაიმართა. გიორგი თარგამაძის თქმით, ახალი ოფისი საარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობის მიღების, მათთან კონსულტაციების ადგილი იქნება.

– თუმცა, ჩვენ არ ვაპირებთ ჩავიკეტოთ ამ ოფისში. გავალთ თბილისის ყველა უბანში. არ დარჩება ადგილი, სადაც არ გვექნება შეხვედრები მოსახლეობასთან, – განაცხადა „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა.

გია ჭანტურიამ პარტიის საარჩევნო კამპანიის ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრა. დასაქმება და დაბალი ტარიფები, მისი თქმით, ამ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

გია ჭანტურიას მხარდასაჭერად პრეზენტაციაზე მომღერალი მერაბ სეფაშვილი მივიდა. „ხშირი სტუმარი ვიქნები ამ ოფისის. ვიცი, რომ გია ტყუილ დაპირებებს არ იძლევა“, – განაცხადა მომღერალმა.

ოფისი სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა მამა გიორგიმ აკურთხა.

## სუბელიანი შემოვლაზეა

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა გლდანში მდებარე №72 ბაგაბაღში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მინისტრი შენობაში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებსაც შეხვდა.

როგორც ცნობილია, ქარიშხლის შედეგად დაზიანებული სახურავის შეკეთებაზე დევნილები მუშაობდნენ, სუბელიანის თქმით, ამით დევნილები საცხოვრებელ შენობასაც გაარემონტებენ და ფინანსურ სარგებელსაც ნახავენ.

– მიუხედავად უამინდობისა სარემონტო სამუშაოები მაინც გრძელდება. მას შემდეგ, რაც ფართი გარემონტდება ამ ფართს დევნილებს დავუკანონებთ და წვიმაც აღარ ჩაუვათ, – განაცხადა სუბელიანმა.

შეგახსენებთ, რომ ქარიშხალმა თბილისში სულ დევნილთა 27 ობიექტი დააზიანა, რომელთა შეკეთება, სუბელიანის განცხადებით, ეტაპობრივად მოხდება.

ჯი-ეიჩ-ენი

პიროვნება

# საქმემან მისმან წარმოაჩინა

მუდამ მაძიებელი, ენერგიული, შესანატრი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, საკუთარ საქმესა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი, — ასეთია საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, ეროვნული უშიშროების აკადემიის პრორექტორი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საინჟინრო აკადემიის, საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობის, მრავალი სადისკუსიო კლუბის წევრი, სამხედრო პუბლიცისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი იასეშვილი.

თამარ ჯავახიშვილისა და იოსებ იასეშვილის ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაზრდილმა ბიჭმა ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, წარმატებით — ინსტიტუტი და ასპირანტურა... ახალგაზრდობიდანვე მონდომებით მოღვაწეობდა სამოქალაქო თუ სამხედრო სფეროში. თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა და განათლებულმა ხელმძღვანელმა მუშაკმა. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს (ქართულ და რუსულ ენებზე) 50-მდე სამეცნიერო და პოპულარული პუბლიცისტური ნაშრომი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი გამოკვლევა „საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მათემატიკური, ტექნიკური, კრიპტოგრაფიული და ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები, საშუალებები, მეთოდები და ღონისძიებანი“, რომელიც თავის დროზე საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი.

სპეციალისტთა აღიარება მოჰყვა გივი იასეშვილის სადოქტორო ნაშრომს: „ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები საქართველოს, — როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფნის პირობებში — ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე“.

ახლახან გამოვიდა გივი იასეშვილის სოლიდური კრებული „სამხედრო მეცნიერების აკადემია“, რომლის შესახებაც უკვე წერდა ჩვენი გაზეთი.



70 წლის გივი იასეშვილი დიდებული მეოჯახეა, ჰყავს ორი შვილი და, ჯერჯერობით, ორი შვილიშვილი...

გულწრფელად ვულოცავთ!

**სპარტაკ ქოზულაშვილი.**

* * *

**აქვე გთავაზობთ ერთ გამოხმაურებას გივი იასეშვილის სამხედრო მეცნიერულ მოღვაწეობაზე.**

სამხედრო მეცნიერება ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

თანამედროვე საქართველოში, რომელიც ფლობს მძლავრ სამეცნიერო პოტენციალს, სამხედრო მეცნიერების მდგომარეობა ერთობ რთულია, რადგანაც ის ქვეყნის საერთო სამეცნიერო სივრცისა და მეცნიერული ცოდნის ერთიანი სისტემის გარეთ აღმოჩნდა.

საქართველოს, სამწუხაროდ, არა ჰყავს სამხედრო-სამეცნიერო კადრები, — სამხედრო მეცნიერების დოქტორები და აკადემიკოსები, რის გამოც არ არსებობს სამხედრო მეცნიერების ისეთი სამამულო სკოლები, როგორიც საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშია.

დღესდღეობით, ერთადერთი სამხედრო-სამეცნიერო რგოლი არსებობს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სახით, სადაც მხოლოდ 2 სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი და 6 არასამხედრო მეცნიერებათა დოქტორია!

ამიტომაც, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს დამოუკიდებლობის და გაძლიერების მიზნით, ეროვნული სამხედრო აღმშენებლობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს სამხედრო მეცნიერების ჩართვა ქვეყნის საერთო სამეცნიერო პოტენციალში და მეცნიერული ცოდნის ერთიან სისტემაში. სამხედრო-სამეცნიერო კადრების გენერაცია და სამხედრო მეცნიერების სამამულო სკოლის ჩამოყალიბება ფრიად საშური საქმეა.

**ამ თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო და საჭიროა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ოფიცერთა კავშირის პოლკოვნიკის გივი იასეშვილის წიგნი „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემია“, რომელშიც კარგადაა ჩამოყალიბებული საქართველოს სამხედრო მეცნიერებაში არსებული პრობლემები. წიგნი წარმოადგენს ინფორმაციული ბრძოლის სამხედრო ხელოვნებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის და ქვეყნის თავდაცვითი სისტემის უკეთ მოწყობის სახელმძღვანელოს.**

მინდა ვუსურვო ჩემს უფროს კოლეგას ბატონ გივი იასეშვილს წარმატებები საქართველოს სამხედრო მეცნიერების განვითარების საქმეში.

**მამუკა გოგიტიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლკოვნიკი.**

ღმერთმა ნუ ქნას...

***შორიდან ისე ჩანდა, ჩვენი ზურა, ჩვენი რაჭველი ძმა, აშკარად გაბრაზებული რომ იყო. მართალია, ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ვარჯიშობსო, მაგრამ აშკარა გახლდათ, ვიღაც-ვიღაცებს ემუქრებოდა. სუნთქვაგახშირებული ბექობზე რომ ამოვიდა და შემოგვიერთდა, რამდენიმემ ერთად ვკითხეთ, რა მოგივიდა, დილაუთენია რამ გადაგრია, რა დაგემართაო.***

## ქვეყანა განსაცდელშია, ესენი კი...

— წუხელ ტელევიზორს არ უყურეთ? ისევ აიშალნენ, ერთმანეთს დაერივნენ, ეს ხიდაშელი რომ ენას ილესავს, კი ბატონო, კარგად ვიცით, ნოღაიდელი რა ჩიტიც არის, მაგრამ ახლა ამის დროა? რაო, მიშამ რომ 120 სოფელი ჩააბარა, მაშინ რატომ მიიმალნენ ჩირგვებში? ნოღაიდელმა იმაზე მეტი უბედურება ჩაიდინა თუ რა?..

ზურა გიორგაშვილი ერთი იმათგანია, ვინც დედაქალაქში გამართულ საპროტესტო მიტინგებს ერთხელაც არ დაჰკლებია. მართალია, დიაბეტიც აწუხებს და მუხლებიც, მაგრამ ქვეყანას ასე სჭირდება და ბუჩქში ხომ არ დავიმალებიო.

— აქამდე არ იცოდი, ეგ რესპუბლიკელები რა ხვითოები არიან? მემარჯვენეები ხომ, თუმცა...

— ეგ მე კი არა, ქვეყანამ იცის და ალიანსსაც უნდა სცოდნოდა, — სათქმელი პირზე შეაცია ჩვენს შორის ყველაზე ვეტერანს შალიკო შერმაზანაშვილს, რომელსაც რევოლუციის ჯარისკაცს ვეძახით. ის არა მარტო მიტინგებში მონაწილეობს, არამედ პარლამენტის წინ მოშიმშილეთა კარვები რომ გაიშალა, ეს, ლამის საუკუნეს მიტანებული, ხმალივით ალესილი კაცი, დღედაღამ იმ კარვებში მსხდომთა სიცოცხლეს დარაჯობდა.

მკითხველი რომ არ დაიბნეს, ბარემ აქვე ვიტყვი, თუ სად და რა ვითარებაში ხდება ეს მბავი.

უკვე ათეული წლებია, რაც თანამოაზრეთა ერთმა გუნდმა, რუსთავში, იალღუჯის ერთ-ერთ ბექობთან, სპორტული კომპლექსი გავაჩალიჩეთ, სადაც ყოველ ცისმარე ვიკრიბებით, ვვარჯიშობთ და შეძლებისდაგვარად ვიკაჟებთ ორგანიზმს, თორემ ღმერთმა ნუ ქნას და, დღეს ავად რომ გახდე, ექიმს თუ აუხვედი, აფთიაქს ნაღდად ვერ გადაურჩები.

ჰოდა, ცხარე დებატებიც ყოველ შეკრებაზე იმართება მიუხედავად დათქმისა, პოლიტიკისგან აქ მაინც დავისვენოთ და განვიმუხტოთო. მაგრამ მოკამათეთა შორის არიან ისეთებიც, ამ ხელისუფლების ბიზნებით გულს რომ იოხებენ, მაგრამ იმის იქით ველარ მიდიან, რადგან ან თავიანთი გასაცოდავებული ბიზნესი უშლით ხელს, ან ოჯახის წევრი ჰყავთ სახელმწიფო სამსახურში, ზოგსაც სკოლაში, სადაც განსაკუთრებული რეჟიმია დამყარებული.

— ნათელაშვილის გარდა, სხვისი არა მწამს რა, — დინჯად ერთვება კამათში მობიზნესო კახელი გოგია. — ხალხის გასაჭირი გულთან მიაქვს და...

— კაი, კაი ერთი, ეგ შენი შალვაც კაი ჩიტი ვინმეა, — ასანთივით ფეთქდება გურული კარლო, — სააკაშვილივით ესენიც დაარბენინებენ თავიანთ ტრიბუნას, ხან გაზის კანტორის წინ, ხან ბენზინგასამართ სადგურთან, ხან მრიცხველებზე დავობენ, მობილურები რომ ძვირია, იქ იქნევენ მუშტს, მერე რა? გახსოვს რუსთველი — „დიდთა ვერ მოკვლენ, ხელთა აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთაო“? ჰოდა, მეწვრილმანეობენ...

მაგრამ გოგია ასე ადვილად არ თმობს თავის სათაყვანო ლეიბორისტებს და ერთმანეთს მაგრადაც შეებმებიან.

რა თქმა უნდა, დღეს ამგვარ კამათს თუ დავიდარაბას მარტო ამ ჩვენს სპორტულ კომპლექსთან კი არ შეესწრები, არამედ, ნებისმიერ სადარბაზოსთან, ეზოში, ჩვენი ბუნებისა და მზის წყალობით, ამ თბილი ზამთრის დღეებში მზეს რომ მიეფიცხებიან, განსაკუთრებით ასაკოვანნი, უმალ პოლიტიკით ითბობენ თავიანთ გაყინულ ოთახებში გაციებულ გულებს.

ანკი სხვა რა უნდა აკეთონ, კაცმა რომ თქვას, რითი შეიქციონ თავი! ეს სალსალამათო, ცხოვრების გამოცდილებით დახუნძლული, თითქმის ყველა სასიცოცხლო სპეციალობის მცოდნე, ნაყინარზე შესეული ყვავებივით დაზორიალობენ.

კიდევ უარესი კი ის არის, რომ ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდებიც, უსაქმოდ რომ დარჩენილან, „არყისტების“ ძველი თაობისგან იძენენ „გამოცდილებას“. მე შენ გეტყვი და, ძალიანაც რომ მოინდომონ (ვითომ არ ინდომებენ?), სამუშაოს იშოვნიან? არადა, რუსთავ-ქალაქი, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, ქვეყნისათვის მეოცე საუკუნის უდიდესი მონაპოვარი თუ შენაძენი, როგორც ამას ქართული სიტყვის დიდოსტატი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა, თვალსა და ხელს შუა ცარიელდება. ქალაქი, სადაც, ამ ოციოდე წლის წინათ 45 მსხვილი თუ წვრილი სამრეწველო საწარმო იყო, ხალიბთა მემკვიდრეობით ვამაყობდით, დღეს სამუშაო სანთლითაა საძებარი, თუმცა, რაც არ არის, სანთელით კი არა, პროჟექტორითაც რომ ეძებო, რას იპოვი!

ახალგაზრდებს გზა უნდათ, ოჯახის შექმნა სურთ, ადამიანური ცხოვრება სწყურიათ, ასაკოვანთ შვილების ბედი აწუხებთ და ბობოქრობენ, მაგრამ...

ამიტომაც დუღდა ამ დილაადრიან ჩვენი ბექობი, ამიტომაც ადარდებთ, ოპოზიციის ლიდერები ერთმანეთში რომ ბობოქრობენ, არადა, ყველამ იცის, მგელი რომ გამოჩნდება, ძაღლები, რაც არ უნდა დაგეშილები იყვნენ ერთმანეთზე, უმალ ერთიანდებიან და ნადირს შეუტევენ!

— სააკაშვილი კი არ არის მაგარი, ესენი ამაგრებენ, — ასკვნის ჩემი სეხნია, დიდი ცხოვრების გზაგამოვლილი კაციტაძიანთ გვარის კაცი.

— ხალხს ლიდერი ნამდვილად სჭირდება! რომ გვიქადაგებენ მხარში დაგვიდექითო, როდის ერთხელ არ დავუდექით! — ჯავრობს შერმაზანაშვილი.

— მეც მანდა ვარ, მივდივართ მიტინგზე, ჩვენი გასაცოდავებული პენსიები ლამის გზაში გვეხარჯება, მერე? აბა, იმ იპოდრომიდან სამას ათასს რუსთაველზე უნდა ჩამოგვევლო, ან სტადიონიდან სამებაში რა გვინდოდა?! — ეს ისევ გიორგაშვილის შეგონებაა, მაგრამ ვის მიმართ?

**არადა, დღეები გარბიან, თვეები იკარგებიან, ქვეყანა კი სულ იწრიტება. 2013 წლამდე ქართველი, ვითომ, საქართველოში სანთლით იქნება საძებარიო, — წუხან ბიჭები. ღმერთმა ნუ ქნას!**

**გივი ჯახუა**

## განცხადება

**2010 წლის 17 მარტს 15 საათზე გაიმართება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი-88“-ის დამფუძნებელ წევრთა განმეორებითი საერთო კრება მისამართზე: თბილისი, გოგოლის ქ. №9.**

**დღის წესრიგი:**

1. ინფორმაცია ამხანაგობის გამგეობის მიერ 2009 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);
2. ინფორმაცია მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ
(ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. თაბუკაშვილი);
3. საორგანიზაციო საკითხები
(ამხანაგობის იურისტი თ. კობერიძე).

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ამხანაგობის გამგეობა**

**ქ. თბილისის №49 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს 7.3 კვ.მ. ფართის იჯარით გადასაცემად სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისათვის.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, ბარნოვის №10, №49 საჯარო სკოლა. ტელ. 99-84-82.**

**ქ. თბილისის №173 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის I სართულზე განთავსებული 24 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად ავტომობილის მართვის თეორიული კურსის ფუნქციონირებისთვის 2 წლის ვადით.**

**24 კვ.მ. ფართის საწყისი საკონკურსო ფასი — 100 ლარი. განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №173 საჯ. სკოლის დირექციაში.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, №173 საჯ. სკოლა. გლდანის III მ/რაიონი.**

**დირექტორი მზია გიორგობიანი.**


ლაკო ბუკია

# ლაკო ბუკიას ემოციურმა კოლექციამ ლონდონში გაი-ელვა...

*ახალი მოდა მოდის...*



ექვსიოდე თვის წინათ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინისა და მოდელირების სპეციალობის კურსდამთავრებულმა და ლონდონის სამოდელო კოლეჯის სტუდენტმა ლაკო ბუკიამ პირველი პერსონალური ჩვენება თბილისის „ნაით-ოფისში“ გამართა. მაშინ მოდისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს სრულიად ახალგაზრდა დიზაინერის თამამი, რომანტიკითა და ემოციურობით დამუხტული რაღაც ახალი „ტალღის“ შემოჭრა ქართულ სამოდელო ხელოვნებაში.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ლაკო ბუკიამ შავი და თეთრი ფერი, როგორც ბოროტებისა და სიკეთის დაპირისპირების თავისებური საპაექრო „მოედანი“ წარმოუდგინა მაყურებელს. კოლექციის ოცდაექვსივე ნიმუში საქმიანი, სერიოზული, თავდაჯერებული ქალის სამოსია; ძველისა და ახლის შერწყმის სრულყოფილი კოლექციაა. ერთიცა და მეორეც, — შავიცა და თეთრიც აშკარად ასურათხატებს ქართველ ქალთა ისტორიასა და დღევანდელობას. ვინც ლაკო ბუკიას იცნობს, ის ადვილად დარწმუნდება, რომ ეს ნაადრევად დაბრძენებული „ბავშვი“ დღემუდამ ქართულ სულსა და ტრადიციებზე ფიქრობს. მოდა არ არის მარტოოდენ სილამაზე და მშვენიერება, ლაკო ბუკიას აზრით **მოდა ქვეყნის სახელისა და პრესტიჟის წარმოჩენის უმნიშვნელოვანესი ფენომენია, მოდა სერიოზული ბიზნესია, საქართველოს იმიჯია, მისი მაღალი ხელოვნების დასტურია.** ამასთანავე, ვინმეს შავი და თეთრი ფერის „პაექრობის“ სცენები გაცვეთილი, მომაბეზრებელი და ერთფეროვანი რომ არ მოჩვენებოდა, დიზაინერმა ყველა კოსტიუმი ძალიან ჩვეულებრივი ელვით შეაიარაღა... როცა ქალის ნატიფი სხეულის (და სულის!) უფრო გამომზეურებაა საჭირო, უჩინარი ელვა ისე ელასტიურად ახერხებს ამას, დიზაინერის მიგნებით (გნებავთ — აღმოჩენით) გაოცებული რჩები... მხოლოდ ერთი გა-**ელვება** და შავი ფერით, „მძიმე“ დიზაინით დაფარული სხეული უცებ გაზაფხულის ქათქათა ვარდებს (მხოლოდ თეთრ, ან შავ ვარდებს) ემსგავსება!

სწორედ ამ სამოდელო ფენომენს უსვამდნენ ხაზს ლონდონის ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში პროფესიონალი შემფასებლები:

აი, ზოგიერთი ამონარიდი:

**„ლაკო ბუკია აშკარად გვაბნევდა ელვის გამოყენების ხელოვნებით. ეს ყველაფერი ერთობ საინტერესოა. აუცილებლად თვალყური უნდა მივადევნოთ ამ დიზაინერს და ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს გაზაფხულ-ზაფხულის ჩვენებაზე“.**

**„ლაკო ბუკიას მოდელების საერთო მაკიაჟი ერთი შეხედვით მართლაც „საშიში“, რთული მოგეჩვენებოდათ, მაგრამ ისინი ისე იხდენდნენ ელვას, გაოცდებოდით დიზაინერის ფანტაზიით“.**

**„ბუკიას ყველა მოდელი სადაა, მაგრამ იდეურად საინტერესო, დახვეწილი და მრავლისმეტყველი“...**

20 თებერვლიდან ლონდონში ტრადიციული მოდის კვირეული გაიმართა. კვირეულის ერთ-ერთ საფეხურზე, რომელიც ახალგაზრდა დიზაინერებისთვის იყო განკუთვნილი, 22 წლის ლაკო ბუკიამ, საქართველოდან ერთადერთმა, 2011 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაზე სწორედ ის მოდელები წარადგინა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

2010 წლის სექტემბერში ლონდონში ისევ შეიკრიბება მსოფლიო მოდის ელიტა, მათ შორის ახალგაზრდობაც იქნება წარმოდგენილი. სასიამოვნო ის გახლავთ, რომ ლაკო ბუკიას ორიგინალურ მოდელებს რაღაც სხვა, განსაკუთრებული ინტერესით ელოდებიან ნისლიანი ალბიონის დედაქალაქში. ამ დროისთვის ლაკოს უკვე დამთავრებული ექნება ლონდონის სამოდელო კოლეჯი და... როგორც თვითონ სჯერა, რომელიმე სერიოზულ სამოდელო ფირმაში გაივლის სტაჟირებას, რადგანაც გამოცდილების გარეშე ვერ მიაღწევს საბოლოო მიზანს.

მისი საბოლოო მიზანი კი ასეთია:

**ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბუკიას ბრენდი საქართველოდანაა!**

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დღეს მრავალი ქართველი დიზაინერი მოღვაწეობს. თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა ჩვენ მათი სახელები არ ვიცით, რადგანაც... პერსპექტივისთვის, ფინანსურად მომძლავრებისთვის უცხო ქვეყნის სახელით სჯობს საკუთარი კოლექციების წარმოჩენა, — გულისწყვეტით ამბობს ლაკო... ასე „შემთხვევით“ გავიცანი ლონდონში პეტერბურგიდან გადასული დავიდ კომა (კომახიძე), რომელიც უკვე აღიარებული დიზაინერია და დიდი ბრიტანეთის ცნობილ ბრენდებთან ერთად იყიდება მისი იშვიათი კოლექციები. თუმცაღა, დავით კომახიძე, როგორც თვითონ მითხრა, მალე ისევ „გაქართველდება“ და საქართველოს სახელითაც გამოფენს თავის შედევრებს...

**— ლაკო, შენი „ემოციის“ თბილისსა და ლონდონში ჩვენების შემდეგ როგორი განწყობა დაგეუფლა, ასაკის გამო ხომ არ გაგიფრთხილდნენ, სერიოზული კრიტიკა რომ არსაიდან ისმოდა...**

— ასაკი ნამდვილად არავის აინტერესებს. ლონდონშიც და მით უმეტეს თბილისში ჩემმა ჩანაფიქრმა დამთვალიერებელი სერიოზულად კი დააფიქრა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „ემოციის“ კოლექციები ყველას მოეწონა. ლონდონში, მაგალითად, იმდენი ბაიერები (მყიდველები) და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მასმედიის საშუალებების ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ, კრიტიკა, ვინც იმსახურებდა, არავისთვის დაუკლიათ. თუ ნამუშევარი ძალიან მოეწონებათ, მას ჩვენებაზე გამსაღებელი ანუ შემკვეთიც გამოუჩნდება, მთავარია თვითკმაყოფილების გრძნობა არ დაგეუფლოს და ძიება არ შეწყვიტო.

**— ლაკო ბუკიას ბრენდი თუ ძირითადად ქართული იქნება, ამას რა აჯობებს, მაგრამ... ხომ არ ნიშნავს ეს საერთაშორისო (მსოფლიო) მოდის ტენდენციების უგულებელყოფას?**

— არა და არა. ჩემი ღრმა რწმენით, ნებისმიერმა პროფესიონალმა საკუთარი ქვეყნის ტრადიციები თანამედროვე მოდის საფუძვლად უნდა აქციოს და ცოდნა, სიახლის გრძნობა სისტემატურად გაიმდიდროს. დედამიწაზე ლამაზი, ორიგინალური და მშვენიერი თითქმის თანაბრად მოსწონთ ევროპაშიც, ამერიკაშიც, აზიაშიც და აფრიკაშიც... მე ვაკეთებ იმას, რასაც სიღრმისეულად ახლა ვფიქრობ, ახლა განვიცდი. მერე გამოდის ისე, რომ ჩემი ჩანაფიქრი საერთაშორისო მოდის მიმდინარეობებს ემთხვევა... თბილისსა და ლონდონში „ემოციის“ მოდელების ჩვენებამ თუ გაამართლა და მორიგი წარმატების იმედი ჩამისახა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ხაზს უსვამდა ჩემი მოდელების გამორჩეულ კონსტრუქციას, ორიგინალურ სტილს...



**— როგორც ქართულ პრესაში გახმაურდა, 26 მარტს თბილისში, „ექსპოჯორჯიის“ საგამოფენო ცენტრში, წერეთლის გამზირზე, გაიხსნება პირველი საერთაშორისო „ჯორჯიან ფეშენ ვიქზი“ (საქართველოს მოდის კვირეული). ხომ არ მონაწილეობთ?**

— ნამდვილად ვაპირებ... იმის გამო, რომ მალე ლონდონში გამოცდები მეწყება, ჩემს სახელოსნოში ღამეებს ვათენებ, რომ თბილისის ჩვენებისთვის ორიგინალური მოდელების შეკერვა მოვასწროთ.

**— ეს შენი ემოციური მოდელების გაგრძელება იქნება თუ?..**

— არა, თბილისის მოდის კვირეულზე სულ სხვა სტილის კოლექციას წარვადგენ. ოღონდ, ჯერ კარგად არ ვიცი, რა გამოგვივა და კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით... ალბათ, უფრო მსუბუქი, ხასხასა ფერები და ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იქნება... ვნახოთ.

* * *

ვიდრე თბილისის მოდის კვირეული გაიმართება, ლაკო ბუკიამ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ერთ „უბრალო“ აქციაში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

როგორც ცნობილია, 3 მარტს რუსთაველის თეატრში გამართულ მორიგ (საიუბილეო) მარათონზე ფონდმა „იავნანამ“ სამ მრავალშვილიან ოჯახს სახლ-კარი შეუძინა. ერთ-ერთი მათგანია სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ეკლესიის მოძღვარი მამა მირიანი (ხოხონიშვილი), რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს და მეშვიდეს დღე-დღეზე ელოდება... კონკრეტულად ამ ოჯახის დასაბინავებელი თანხა „იავნანას“ ჩაურიცხა ჩვენი ცნობილი ქველმოქმედის, საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ და გოგი ბუკიას სახელობის მემორიალის — ნარდში საერთაშორისო ტურნირის ფუძისჩამყრელისა და ორგანიზატორის, საქართველოს პარლამენტის წევრის გოდერძი ბუკიას ოჯახმა.

22 წლის ლაკო ბუკია, როგორც მომავალი ქველმოქმედი, ახალი სახლის სიმბოლურ გასაღებს, „იავნანას“ წარმომადგენლებთან ერთად ჩაუტანს მირიან ხოხონიშვილის ოჯახს.

ღმერთო, შენ გაამრავლე, გააძლიერე და გაამთლიანე საქართველო!

**სპარტაკ ქობულია.**






კადრები ლაკო ბუკიას მოდელების ლონდონური ჩვენებიდან.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ავიამიმოსვლის აღდგენაზე მოსკოვიდან ინიციატივას ელოდებიან

**რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის შესაძლო განახლების თემა კვლავ აქტუალურია. ავიაკომპანია აირზენა-ჯორჯიან აირვეისი აცხადებს პირდაპირი მუდმივი ავიარეისების შესახებ თბილისსა და მოსკოვს შორის. მაგრამ შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია: ორივე ქვეყნის ხელისუფლება უკვე რამდენიმე თვეა საჯაროდ აცხადებს, რომ მზად არიან აღადგინონ რეგულარული ფრენები, მაგრამ რეალური შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს**



საქართველო მზად არის, აღადგინოს პირდაპირი ავიამიმოსვლა რუსეთთან. ამის შესახებ, როგორც რადიოსადგურ „ეხო მოსკოვი" იტყობინება, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.

ამ რეისების განახლების თაობაზე განაცხადი შეიტანა ავიაკომპანია აირზენა-ჯორჯიან ეირვეისმა. ამის შესახებ იტყობინება „რეა ნოვოსტი" კომპანიის წარმომადგენლის ნინო გიორგობიანის სიტყვებზე მითითებით.

„28 მარტიდან მთელ მსოფლიოში ავიაციაში იწყება ახალი საგაზაფხულო სეზონი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაგზავნით ახალ განრიგს. ახალი განრიგი დასამტკიცებლად გავუგზავნეთ ყველა ქვეყანას, სადაც ვასრულებთ ფრენას, მათ შორის რუსეთსაც. თუ თანხმობა იქნება ავიამიმოსვლის განახლების შესახებ, ჩვენ დავიწყებთ ფრენებს", — მოჰყავს სააგენტოს მისი სიტყვები.

შეგახსენებთ, რომ ავიამიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის შეწყდა ჯერ კიდევ 2006 წელს. შემდეგ 2008 წელს იგი აღადგინეს, მაგრამ მალე ფრენები კვლავ შეწყდა 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ. მაშინ სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებათა შემდეგ ქვეყნებმა შეწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობანი (ამჟამად საქართველოს ინტერესებს რუსეთში და რუსეთისას საქართველოში შვეიცარიის საელჩო და საკონსულოები წარმოადგენენ) და ურთიერთკონტაქტები მინიმუმამდე შეამცირეს, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლაც.

ასეთ პირობებში რუსეთიდან საქართველოში შეიძლება მოხვედრილიყავი ბორნით სოჭიდან ბათუმში (ბორნები დადიოდნენ ორი — რუსეთისა და საქართველოს დროშებით), ან თვითმფრინავით მესამე ქვეყნის გავლით — როგორც წესი, იყენებდნენ მინსკს, ბაქოს ან ერევანს.

მაგრამ ყველაფერი როდია დამოკიდებული საქართველოს ავიაკომპანიის სურვილზე პირდაპირ მიმოსვლასთან დაკავშირებით. რეგულარული ფრენების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო განაცხადების არსებობის შემთხვევაში.

თბილისში მიაჩნიათ, რომ განაცხადი რუსეთმა უნდა შეიტანოს, ვინაიდან, თბილისის აზრით, სწორედ რუსეთის ინიციატივით შეწყდა ფრენები. „ქართული მხარის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად დადებითია ფრენების აღდგენის სასარგებლოდ. პრობლემა აქვს, სამწუხაროდ, რუსეთის მხარის პოზიციას. რუსეთის ფედერაციამ თავის დროზე ცალმხრივად გააუქმა გადაწყვეტილება საჰაერო მიმოსვლის შესახებ", — განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ. მისი სიტყვებით, თუ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოფიციალურად მიმართავენ თბილისს შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით წინადადებით ავიამიმოსვლის განახლების შესახებ, საქართველოს მხრიდან საკითხი გადაწყდება უმოკლეს ვადაში.

რუსეთში ავიამიმოსვლის გახსნისთვის მზადყოფნის შესახებ საუბრობდნენ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც და საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. „ჩვენ მზად ვართ, გავხსნათ რეგულარული ავიამიმოსვლა", — განაცხადა 25 თებერვალს ლავროვმა და ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება დიპლომატიური ურთიერთობის და, შესაბამისად, სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ მიღებული იქნა არა რუსეთის მხრიდან. ეტყობა, ამით გულისხმობდნენ, რომ ფორმალური ინიციატივა ავიაკონტაქტების განახლების შესახებ უნდა მოდიოდეს სამხრეთელი მეზობლებისგან: ვინც გათიშა კონტაქტები, მანვე უნდა აღადგინოს ისინიო.

მანამდე კი ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან ავიამიმოსვლის განახლების საკითხის განხილვისთვის, მაგრამ მხოლოდ მთელი რიგი ტექნიკური მომენტების მოწესრიგების შემდეგ.

„ჩვენი მხრიდან არ არის რაიმე პრინციპული წინააღმდეგობა რეგულარული ავიამიმოსვლის განახლების თაობაზე. რასაკვირველია, ეს გულისხმობს წინასწარ შეთანხმებას რუსეთისა და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებებს შორის მთელ რიგ ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, კერძოდ, ავიაკომპანიის ფრენების განრიგთან დაკავშირებითაც", — თქვა ნესტერენკომ.

მისი სიტყვებით, საჭიროა აგრეთვე შევთანხმდეთ სატვირთო გადატანების დავალიანების დაფარვის საკითხზე რუსეთის საჰაერო სივრცეში. „თუ საქართველოს მხარე გამოიჩენს დაინტერესებას, ჩვენ მზად ვიქნებოდით გვეწარმოებინა შესაბამისი მოლაპარაკება", — დაუმატა ნესტერენკომ.

ამრიგად საკითხი ავიამიმოსვლის განახლების შესახებ, ბევრის თვალსაზრისით, ხდება საკითხად იმის შესახებ, თუ, კერძოდ, ვინ იკისრებს ფორმალურად ინიციატივას ავიარეისების განახლების თაობაზე და ამავე დროს პასუხისმგებლობას მათი შეწყვეტისთვის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ.

ჯერჯერობით კი მიმოსვლის განახლება ჩარტერული რეისების დონეზეც კი ხდებოდა დიდი სირთულეების შედეგად.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ბოლოს საქართველოს ავიაციამ ითხოვა ჩარტერული რეისების შესრულება თბილისიდან მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში 26 დეკემბრიდან 15 იანვრამდე. მაშინ რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ ნება დართო შეესრულებინათ რეისები 29 და 30 დეკემბერს, დაიწყო ბილეთების გაყიდვა, მაგრამ გაფრენამდე ერთი დღით ადრე გამოაცხადეს ფრენების ჩაშლის შესახებ.

საქართველოს ოპოზიციის წარმომადგენლები დარწმუნებული იყვნენ, რომ მიზეზი ძირითადად გახდა ქუთაისში დიდი სამამულო ომის მსხვერპლის მემორიალის დანგრევა, რამაც რუსეთის ხელისუფლების მკაცრი უკმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ საქართველოს ავიაციამ მაინც შეძლო ორი თვითმფრინავის გაგზავნა მოსკოვში — რეისები გაიმართა 2010 წლის 8 და 10 იანვარს.

მაშინ კომპანიას განზრახული ჰქონდა იანვარში კიდევ სამი ფრენის შესრულება, შემდეგ კი განეხილათ საკითხი მუდმივი ავიამიმოსვლის განახლების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო კონტაქტების მინიმალიზაცია შეეხო სახმელეთო ტრანსპორტსაც. 2006 წლის ზაფხულში სარემონტოდ დაიკეტა მიწისზედა გადასასვლელი — საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ზემო ლარსი". იგი გაიხსნა მხოლოდ 2010 წლის 1 მარტს — ზოგიერთი მონაცემებით, სომხების თხოვნით.

კალანდაძემ აღნიშნა, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობდა შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით. „შესაბამისად, ლარსის მაგალითისამებრ, არის იმის გამოცდილება, რომ ამგვარი მოლაპარაკებაც მიმდინარეობდეს შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით".

**ტიმურ მუხამატულინი**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილი შესამოწმებლად თმას ჩააბარებს

**მიხეილ სააკაშვილი მზად არის, პირველმა ჩააბაროს თმა ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველობის ტესტირებისთვის. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა ოპოზიციონერ დეპუტატთან დიმიტრი ლორთქიფანიძესთან და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ალექსანდრე კვიტაშვილთან შეხვედრის დროს. სწორედ ლორთქიფანიძემ დააყენა წინადადება, შემოწმდეს ყველა ჩინოვნიკის ნარკოტიკებთან დამოკიდებულება**

დეპუტატმა წინადადება შეიტანა, დაიწყოს ტესტირება რომელიმე სამინისტროდან ან პარლამენტიდან, მაგრამ ეს გაკეთდეს არა შარდის „არათანამედროვე" ანალიზით, არამედ ახალი მეთოდით — თმების შემოწმების დახმარებით. ამავე დროს ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მზად არის მოხდეს თავად მისი ტესტირება პირველ რიგში.



„ეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ინიციატივაა და ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ოპოზიციის ინიციატივებსაც ამ შემთხვევაში, როგორც ჯანსაღ ინიციატივას", — ასეთი აზრი გამოთქვა სააკაშვილმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო სტრუქტურების შემდეგ ასეთი შემოწმებები შეიძლება მოეწყოს სხვა უწყებებშიც, აგრეთვე, თუ ამას კერძო კომპანიებიც მოისურვებენ, კერძო სექტორშიც.

საქართველოს ხელმძღვანელმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს დაავალა, შეიმუშაოს სახელმწიფო მოსამსახურეთა შემოწმების პროგრამა ნარკოტიკებზე. „ეს არ ამცირებს მოქალაქეთა ღირსებას, ვინაიდან უნდა ჩაბარდეს მხოლოდ თმა", — თქვა სააკაშვილმა და დაუმატა, რომ ახალმა ინიციატივამ დიდი გავრცელება უნდა მოიპოვოს და იქცეს ნარკომანიაზე ახალი შეტევის დასაწყისად.

„ჩვენთან ციხეებში 6 ათასი კაცი ზის ნარკოტიკების გავრცელებისთვის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის", — დაიჩივლა საქართველოს პრეზიდენტმა. „ჩვენ გვჭირდება შევქმნათ ისეთი სიტუაცია, როდესაც ნარკომანს აღარ შეეძლება იშოვოს სამუშაო, მას ცოლად არავინ გაჰყვება, მას არ მიიღებენ მეგობრები და ოჯახი და მაშინ შეიძლება ვისაუბროთ ნარკომანიის პრობლემის გადაწყვეტის შესახებ", — აღნიშნა სააკაშვილმა.

**ალექსანდრ მოჟეიკო**

Утро.ru

## დედამიწის ზურგზე



**სენსაცია არჩევნებისშემდგომ ერაყში: ვიცე-პრეზიდენტმა მოითხოვა პრეზიდენტის პოსტის სუნიტებისთვის გადაცემა**

„ალ-ჯაზირესთვის" მიცემულ ინტერვიუში ალ-ხაშიმიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანი „არაბული ქვეყანაა და მისი პრეზიდენტი არაბი უნდა იყოს". ამ განცხადებამ გაამწვავა კონფესიათაშორისი დაძაბულობა. ბლოკ „ალ-ირაკიას" ლიდერმა, რომელსაც ეკუთვნის ვიცე-პრეზიდენტი, — პრემიერის პოსტის ერთ-ერთი კანდიდატია ოთხიდან.

* * *



**გადამდგარმა ამერიკელმა კონგრესმენმა განაცხადა, რომ ობამას თანაშემწე მას საშხაპეში აშინებდა**

მისი სიტყვით, როდესაც ის შხაპს ღებულობდა, მის წინ გაჩნდა თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რემ ემანუელი სრულიად შიშველი და იგი მას მკერდში თითს სცემდა, აკრიტიკებდა ჯანმრთელობის დაცვის რეფორმების კრიტიკის გამო, რომელიც ობამამ წამოაყენა. კონგრესმენი მიიჩნევს, რომ სკანდალიც მის გადადგომასთან დაკავშირებით აგრეთვე ინსპირირებულია ემანუელის მიერ.

* * *

**ჩავესმა 8 მარტს ვენესუელაში ქალთა ორასწლიანი ფრონტი შექმნა**



თავისი სახელწოდება ქალთა ამ ახალმა მასობრივმა ორგანიზაციამ მიიღო ვენესუელის დამოუკიდებლობის გამოცხადების 200 წელთან დაკავშირებით, რომელიც 19 აპრილს აღინიშნება. ჩავესის მართვის წლებში ქალები სათავეში უდგანან ხელისუფლების რტოებს, აღმასრულებელი ხელისუფლების გამოკლებით.

* * *

**კვიპროსის ყოფილი პრეზიდენტის მოპარული ნეშტი აღმოაჩინეს**

ეს მოხდა კვიპროსის დედაქალაქის ერთ-ერთი სასაფლაოზე. უახლოეს პერიოდში მოხდება დნმ-ს ანალიზი იდენტიფიკაციის მიზნით. 2009 წლის დეკემბერში უცნობებმა ამოთხარეს ტასოსა პაპანდროპულოს საფლავი და მოიტაცეს მიცვალებულის ნეშტი. ამ დანაშაულის მოტივის მრავალი ვერსია არსებობდა.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

### ავანტიურისტები

ტუხაჩევსკის ჯგუფი სულაც არ ყოფილა „ბრწყინვალე პროფესიონალების“ ჯგუფი, რომელიც ოპონირებას უწევდა „გონებაჩლუნგ“ ვოროშილოვს, – ეს ჩვენ ადრე გავარკვიეთ. ის არ ყოფილა კარიერისტების ჯგუფიც კი, რომელიც ჩინებისთვის იბრძოდა. ტუხაჩევსკისა და მის მეგობრებს ჰქონდათ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა.

იგი იყო მარქსიზმის ერთგვარი განსაკუთრებული ვერსია. იმის თანახმად, რევოლუციის ავანგარდად ხდება არა მუშათა კლასი, კომუნისტური პარტიაც კი, არამედ „პროლეტარული არმია“. ტუხაჩევსკის უნდოდა სტალინის მილიტარიზება, მისი ცხოვრების ყველა სფეროს არმიის ინტერესებისთვის დამორჩილება. ჯერ კიდევ 1927 წლის დეკემბერში მან სტალინს შესთავაზა, შექმნათ მომდევნო წელს 50-100 ახალი ტანკი. ვ.სუვოროვმა (რეზუნმა) ამასთან დაკავშირებით ტუხაჩევსკის ირონიის მთელი ქარიშხალი დაატეხა თავს, დაწვრილებით აღწერა, თუ სადამდე მიგვიყვანდა ამ „გენიალური“ ჩანაფიქრის რეალიზაცია. მაგრამ, ვფიქრობ, ამის განსაკუთრებული აუცილებლობა არ ყოფილა. ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი უმალვე მიხვდება ამ გეგმის მთელს უგუნურებას. ქვეყანას ხომ ჯერ არც დაეწყო ნორმალური ინდუსტრიალიზაცია, 50 ათასი კი – ეს ის რაოდენობა იყო, რისი საშუალებაც გამონახა სტანკომ მრეწველობამ მთელი ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში (მხედველობაშია, რასაკვირველია, დიდი სამამულო ომი).

ასეთივე არარეალური იყო ტუხაჩევსკის მიერ 1930 წელს შემოთავაზებული გეგმა. ამ გეგმის თანახმად, სსრ კავშირს უნდა გამოეშვა 40 ათასი თვითმფრინავი. ეს უკვე ცალკეული ფაქტი როდია, ეს ტენდენციაა. ტუხაჩევსკის საქმე იქითკენ მიჰყავდა, რომ მთელი ქვეყანა გადაექცია სამხედრო რელსებზე. მთელს სახალხო მეურნეობას უნდა ემუშავა შეიარაღების წარმოებაზე, ჯარში გასაწვევი ასაკის მამაკაცები კი – ის უნდა აეთვისებინათ. დაახლოებით ასეთივე წესი იყო ჩვენთან 1941-1945 წლებში, მაგრამ მაშინ ხომ მიმდინარეობდა ისტორიაში უნახავი ომი და მაშინ უკვე განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია.

აი, ასეთ „ნათელ მომავალს“ უმზადებდა ტუხაჩევსკი ქვეყანას. და ამ მომავალს ელოდა გარდაუვალი ომი. რა საჭირო იყო იარაღის ასეთი მთა? თავდაცვისთვის? როგორც ოდესაში იტყოდნენ, ნუ აცინებთ ჩემს ქოშებს. იარაღი საჭირო იყო რევოლუციური ომისთვის, რომლის მიზანიც ევროპაში კაპიტალიზმის დამხობა იყო. იმიტომაც მოახვია თავს ტუხაჩევსკიმ ჩვენს არმიას სააბსურდო დარტყმის თეორია, რომლის თანახმადაც, ომი იქნებოდა შეტევითი, თავდასხმითი და დამთავრდებოდა სწორედ სხვის ტერიტორიაზე. მაგრამ აქედან ხომ ერთი ნაბიჯიღაა აგრესიამდე. ბევრი ხომ დასავლეთში (დემოკრატიულშიც, ფაშისტურშიც) აღიქვამდა ჩვენ ასეთ ეჭვით, რომ ჩვენ შეიარაღებისთვის გვქონდა ტუხაჩევსკის აშკარად შეტევითი დოქტრინა.

ტუხაჩევსკი ელოდა რევოლუციურ ომს და მისთვის საგანგებოდ ემზადებოდა, თუმცა, უფრო მეტად იდეოლოგიური თვალსაზრისით. და ჯარისკაცების მომზადებასაც ის იდეოლოგიური თვალსაზრისით გვთავაზობდა. აი მეტად საინტერესო სურვილი: „მთელი... მომზადება რეგლამენტირებული უნდა იყოს გარკვეული თეზისებით, რომლებიც შეიცავს ცნებებს: ომის მიზნების შესახებ, რევოლუციური აფეთქებების გარდაუვალობის შესახებ იმ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ვინც ომს გამოგვიცხადებს, ამ აფეთქებებთან სოციალისტური შეტევების შეხამების შესახებ, ეროვნული ბრძოლების ატროფირებისა და კლასობრივი თვითშეგნების განვითარების შესახებ“. განსაკუთრებით, რასაკვირველია, გულის ამაჩუყებელია დებულება „ეროვნული ბრძოლების ატროფირების“ შესახებ!

„გენიალური მხედართმთავარი“ დაბეჯითებით ამუშავებდა ომის კლასობრივ თეორიას. იმის მიხედვით გამოდიოდა, რომ პროლეტარული არმია აუცილებლად გაიმარჯვებს – თავისი ერთსახოვნების გამო. აი ბურჟუაზიული არმია კი აუცილებლად „შეუბრავს“ – იმიტომ, რომ აქვს ნარევი შემადგენლობა.

ტუხაჩევსკი ცოტა ფრთხილობდა კიდეც:. აი ზოგიერთ მის თანამებრძოლს სამხედრო-რევოლუციური ციებ-ცხელება უჩნდებოდა უფრო ძლიერად. მაგალითად, ტუხაჩევსკისთან განსაკუთრებით დაახლოებულმა ვ.მ.პრიმაკოვმა 1930 წელს დაწერა წიგნი „ავღანეთი ცეცხლში“, რომელშიც აყენებს წინადადებას, გაიგზავნოს ჯარები „დაჩაგრული ძმების“ დასახმარებლად. ხედავთ, ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ ჩაეთრიათ რუსეთი ამ რეგიონში ფართომასშტაბიან ავანტიურაში!

ამრიგად, ჩვენ წინაშეა განსაკუთრებული პოლიტიკური პოზიცია. 50-100 ათასი ტანკის წარმოების შესახებ ტუხაჩევსკის წინადადების გაცნობის შემდეგ სტალინმა ზუსტად დაახასიათა იგი, როგორც „წითელი მილიტარიზმი“. მას შეიძლება აგრეთვე „მემარცხენეც“ უწოდო.

### მაშ, იყო შეთქმულება?

მაგრამ, იქნებ, როდესაც ჰქონდათ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმა, მემარცხენე მილიტარისტებს ამავე დროს სურდათ მისი ქვეყნისთვის თავს მოხვევა ძალადობით, სამხედრო გადატრიალების გზით? ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა შეთქმულება?

დასაწყისისთვის შევეხოთ მამონტის ეშვებივით ძველ მტკიცებებს იმის შესახებ, რომ ტუხაჩევსკის ჩვენებანი წმინდა წყლის „სიყალბეა“ და ისინი შესაბამისმა ორგანოებმა „დასცანცლეს“ მას. ბევრმა მკვლევარმა უკვე კარგად გადაუარა ამ უაზრობებს, რითაც ალსავსეა ხრუშჩოვისდროინდელი ეს „ვერსია“. ტუხაჩევსკის ჩვენებანი – ეს არის ას ფურცელზე აკურატულად დაწერილი ტექსტი. ესე იგი არავითარი მხეცურ ცემას ადგილი არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელწერა არ იქნებოდა ასეთი თანაბარი. სისხლის ლაქები აღმოჩნდა მხოლოდ მესამე, მანქანაზე დაბეჭდილ ცალზე – ამიტომ ეს ლაქები არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ტუხაჩევსკისა. და ასე შემდეგ, და ასე რიგად.




ამ თვალსაზრისით მეტად ნიშანდობლივია ისტორიკოს ა.ვ.შუბინის დაკვირვებანი, ვისმა „ანტისტალინიზმმაც“ ხელი არ შეუშალა შეეხედა ტუხაჩევსკის საქმეზე საკმაოდ ობიექტურად. „მიაჩნიათ, რომ ტუხაჩევსკის მხეცურად სცემდნენ, ვინაიდან მის ჩვენებებზე აღმოჩენილია სისხლის ლაქები, რამდენიმე მცირე ნათხუპნი,რომლებსაც „ძახილის ნიშნის ფორმა“ აქვთ, – წერს მკვლევარი. – სისხლი დაეშხეფა ქაღალდზე... მაგრამ აქ რაღაც არ გამოდის. სამხედროები სამოქალაქო პირებზე მაგრები არიან? მაგრამ სამოქალაქო პარტიულ პირთა უმრავლესობამ უარი განაცხადა საჯარო პროცესზე გამოსვლაზე, მრავალთვიანი „დამუშავების“ მიუხედავად, ტუხაჩევსკი კი გატყდა წამების გამო რამდენიმე დღეში. რაღაც ძალიან სწრაფად. და არა მხოლოდ ტუხაჩევსკი, მაგრამ ყველა დაპატიმრებული ჩქარობს „ცილი დასწამოს“ თავის თავსაც და ამხანაგებსაც... თუ ტუხაჩევსკი და სხვები დამნაშავეები იყვნენ, შეიძლებოდა ბრალის მოკლედ აღიარება გამოძიების გამო შეთხზულ აბსურდულ ბრალდებებზე... ტუხაჩევსკი მუშაობს არა შიშით, არამედ პატიოსნებით, აღწერს შეთქმულებას რადეკზე უფრო გულდასმით. მაგრამ რადეკი – მრავალგზის მომნანიებელი ოპოზიციონერია, ტუხაჩევსკი კი – სახელგანთქმული მარშალი... სამხედროები ერთსულოვნად ეთანხმებოდნენ ღალატს, მაგრამ არა ყველა ჯაშუშობაში. პატიმრებს ჰქონდათ თავიანთი წარმოდგენა იმის შესახებ, რისი აღიარებაც შეიძლებოდა...“ („ბელადები და შეთქმულები“ძ.

არა, სამხედროებს რაღაც ცოდვა უსათუოდ ჰქონდათ. საინტერესოა, რომ „ტუხაჩევსკის შეთქმულების“ შესახებ საუბარი უკვე იყო 20-იანი წლების დასაწყისში. სწორედ მასთან იყო დაკავშირებული არმიის პირველი სერიოზული წმენდა – 1923 წლისა. იმის შესახებ, რომ წითელ არმიაში არსებობდა ბონაპარტისტ-შეთქმულების საკმაოდ ძლიერი ორგანიზაცია, ინფორმაცია შემოდიოდა სულ სხვადასხვა არხებით. ამის შესახებ იცოდნენ ა.გუჩკოვის რუსეთის ეროვნულმა კომიტეტმაც, მემარჯვენე ლიბერალურმა წრეებმაც (ე.კუსკოვისაძ, ა.ფონ ლამპემაც (ვრანგელის წარმომადგენელიძ და სხვ.

ს.ტ.მინაკოვი მეტად საინტერესო ნაშრომში „საბჭოთა სამხედრო ელიტის დიდი „წმენდა“ 1923 წელს“ ასეთ დასკვნას აკეთებს: „ინფორმაცია „ტუხაჩევსკის ჯგუფორგანიზაციაზე“... არ ყოფილა უნიადაგო. მისი ასე თუ ისე სრული გაშიფრვა და შემოწმება მრავალნაირი საარქივო მონაცემების საფუძველზე, მათ შორის და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სპეცსამსახურების ყველა საარქივო მასალების საფუძველზე, – მომავალი კვლევისა და მკვლევარების ამოცანაა. მაგრამ ჩემს განკარგულებაში არსებული დოკუმენტური ცნობები უკვე მაძლევენ იმის საშუალებას, რომ ვამტკიცო, თუნდაც ნაწილობრივ, მისი სისწორე“.

საბჭოთა პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობა სერიოზულად იყო შეშფოთებული საქმის ვითარებით და სერიოზულად მოკიდა ხელი ტუხაჩევსკის. ძალიან რთულ თამაშს „წითელ ბონაპარტთან“ აწარმოებდა ტროცკი. თავდაპირველად ის სერიოზულ ზომებს მოითხოვდა ჭირვეული სამხედრო ხელმძღვანელის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ ტროცკისტებმა ტუხაჩევსკის შესთავაზეს, მოეწყო სამხედრო შეთქმულება. მაგრამ ტუხაჩევსკიმ მომლოდინის პოზიცია დაიკავა, და ყველაფერი ჩაიშალა.

მოგვიანებით, 30-იანი წლების დასაწყისში „ორგანოებში“ შემოვიდა სარწმუნო ინფორმაცია ტუხაჩევსკის „ბონაპარტისტულ“ მისწრაფებებზე (დაწვრილებით მე-5 თავშიძ.

ესე იგი, როგორც ვხედავთ, ტუხაჩევსკიმ შეიძმნა შეთქმულის რეპუტაცია ხანგრძლივი წლების მანძილზე. მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევარში – გაცილებით უფრო სერიოზულად. არის უამრავი პირდაპირი დამოწმება შეთქმულების სასარგებლოდ (მათი უმრავლესობა შეკრიბეს და განაზოგადეს ა.ი.კოლპაკიდიმ და ე.ა.პრუდნიკოვამ თავიანთ მეტად საინტერესო გამოკვლევაში „ორმაგი შეთქმულება. სტალინი და ჰიტლერი: არშემდგარი პუტჩები“ძ. დავასახელებ ძირითადს. 1937 წლამდე დიდი ხნით ადრე იყო რამდენიმე დაზვერვითი პატაკი (მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილება – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და დაზვერვის მთავარი სამმართველოძ, რომლებიც ტუხაჩევსკის შეთქმულების შესახებ იტყობინებოდნენ. შეთქმულების შესახებ, საფრანგეთის პრემიერის ე.დალადიეს სიტყვებით, სტალინს ატყობინებდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი. მასზე თავის საიდუმლო წერილში ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ე.ბენეშის სახელზე წერს მისი ელჩი ბერლინში მასტნი. იგივე ინფორმაციაა მოსკოვში საფრანგეთის ელჩის რ.კულონდრის წერილში თავისი ბერლინელი კოლეგისადმი. მტრის მხარეზე გადასული ორლოვი ომის შემდეგ ადასტურებდა, რომ ტუხაჩევსკის შეთქმულებას სტალინის წინააღმდეგ ნამდვილად ჰქონდა ადგილი. სამხედრო შეთქმულებაზე იტყობინებოდა „პრავდის“ ბერლინელი კორესპონდენტი და მთავარი პოლიტიკური სამმართველოს აგენტი ა.კლიმოვი.

მეტად საინტერესოა რაიხის პოლიტიკური დაზვერვის ხელმძღვანელის ვ.შელენბერგის დამოწმება. ის იტყობინება ჰიტლერის გადაწყვეტილებაზე – მხარი დაეჭირათ სტალინისთვის ტუხაჩევსკის წინააღმდეგ. ცბიერი ფიურერი ვარაუდობდა, რომ ამით ის ხელმძღვანელობას ჩამოაშორებდა და დაასუსტებდა წითელ არმიას (გულუბრყვილო ადამიანი – მას რომ ტუხაჩევსკის ყველა „სამკაული“ სცოდნოდა!ძ. „ჰიტლერმა... გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ გერმანიის არმიის შტაბის ოფიცრებისთვის არ ეცნობებინათ იმ ნაბიჯის შესახებ, რომელიც ტუხაჩევსკის წინააღმდეგ იყო გამიზნული, ვინაიდან ეშინოდა – მათ შეეძლოთ გაეფრთხილებინათ საბჭოთა მარშალი, – წერს შელენბერგი. – და აი ერთხელ ღამით ჰეიდრიხმა (იმპერიის უშიშროების შეფი – ა.ე.ძ ორი სპეციალური ჯგუფი გაგზავნა, რათა შეეღწიათ გენერალური შტაბისა და აბვერის, სამხედრო დაზვერვის სამსახურის საიდუმლო არქივებში, რომლებსაც სათავეში ადმირალი კანარისი ედგა. ჯგუფების შემადგენლობაში შეიყვანეს შეღწევის სპეციალისტები სისხლის სამართლის პოლიციიდან. მოიძებნა და ამოიღეს მასალები, რომლებიც შეეხებოდა გერმანიის გენერალური შტაბის თანამშრომლობას წითელ არმიასთან. მნიშვნელოვანი მასალა მოიძებნა აგრეთვე ადმირალ კანარისის საქმეებში. იმისთვის, რომ კვალი წაეშალათ, რამდენიმე ადგილას ხანძარი მოაწყვეს, რამაც მალე მოსპო შეღწევის ყოველგვარი კვალი. ატეხილ აურზაურში სპეციალური ჯგუფები დაიმალნენ ისე, რომ ვერც შენიშნეს. თავის დროზე ამტკიცებდნენ, რომ ჰაიდრიხის მიერ ტუხაჩევსკის დასაბნევად შეგროვილი მასალები წარმოადგენდა უმთავრესად წინასწარ შეთხზულ დოკუმენტებს. სინამდვილეში ძალიან ცოტა რამ თუ იყო ყალბი – იმაზე მეტი, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ შეევსოთ ზოგიერთი ცარიელი ადგილი. ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ მეტად მოცულობითი დოსიე მომზადდა და გადაეცა ჰიტლერს მეტად მოკლე ვადაში – ოთხ დღეში“.

ესე იგი არ ყოფილა არანაირი სიყალბე, რომელიც თითქოსდა გერმანელებმა სტალინს შეუგდეს. მათ მას ნამდვილი ინფორმაცია წარუდგინეს, რომელიც შეეხებოდა სტალინისა და ჰიტლერისთვის დაფარულ კონტაქტებს საბჭოთა და გერმანელ სამხედროებს შორის. და საკითხი არ შეეხება საიდუმლო, მაგრამ საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის ვაიმარის რესპუბლიკისდროინდელ კონტაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი ჰქონდა, ეცნობებინათ ამის შესახებ სტალინისთვის, მან ხომ ეს ისედაც იცოდა? არა, საუბარი შეეხებოდა შეთქმულებას სტალინისა და მთელი პოლიტბიუროს, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ზურგს უკან.

ხომ არ შეიძლებოდა, რომ შელენბერგი ცრუობდა? მაგრამ, გეკითხებით, რისთვის სჭირდება ეს მას? ეს ინფორმაცია ხომ ადასტურებს სტალინის სიმართლეს. რა, შელენბერგი სტალინისტი იყო? თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო. პირიქით, სტალინს ის უყურებდა, როგორც მტერს. მემუარებს რაიხის ყოფილი მთავარი მზვერავი წერდა შვეიცარიაში. აი სსრ კავშირში რომ ყოფილიყო, მაშინ პიარი სტალინისადმი გასაგები იქნებოდა. მაშ, რაღა აზრი ჰქონდა სიცრუეს? არა, შელენბერგმა უბრალოდ გვაცნობა, თუ რა ხდებოდა რეალურად.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-43.

ტყვიის სროლა

# მეცამეტის მოლოდინში



**ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელიც ერთგვარი რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელსაც ნორვეგიული მერაკერი მასპინძლობს.**

ქალებში 383 ქულით ყველას ნინო სალუქვაძემ აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ნინო უჩაძე (374ძ და თამილა ასათიანი (370ძ გავიდნენ. ვაჟებში ოქროს მედალი ლევან ქადაგიძემ (572ძ დაიმსახურა. მას თორმეტი ქულით ჩამორჩა გიორგი ბურჭულაძე. 552 ქულით მესამე ადგილი გია სვანიძეს ხვდა.

საგულისხმოა, რომ ეროვნული ჩემპიონატის წინ სალუქვაძემ და ქადაგიძემ ერევანში ათდღიანი საწვრთნელი შეკრება გაიარეს. ახლა ისინი მერაკერში არიან. ოლიმპიური ჩემპიონი ცეცხლის ხაზზე 12 მარტს გავა. აღსანიშნავია, რომ ნინო ევროპის ჩემპიონატებში 1982 წლიდან მონაწილეობს და პირად-გუნდური მაჩვენებლებით 12-ჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, შარშან და შარშანწინ კი ვერცხლის მედლები დაიმსახურა. 13 მარტს კონტინენტის პირველობაზე ქადაგიძე იასპარეზებს.

მძლეოსნობა

# ჩემპიონობა — რეკორდით



**დიდუბის მანეჟში დამთავრდა საქართველოს მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 21 ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:** სალომე სირაძე (60 მ.ძ, თეა ფაცურია და ლევან შანავა (60 მ. თარჯრბენიძ, ლიკა ლოლუა და ენდრიკ ზილბერშტეინი (200 მ.ძ, გაიანე უსტიანი და ე. ზილბერშტეინი (400 მ.ძ, გ. უსტიანი და ანდრანიკ მატინიანი (800 მ.ძ, გიული დეკანაძე და ა. მატინიანი (1500 მ.ძ, გ. დეკანაძე და გიგლა ზილბერშტეინი (3000 მძ, სალომე რიგიშვილი და ბენიკ აბრამიანი (ბირთვიძ, ზურაბ გოგოჭური (სიმაღლეზე ხტომაძ, ქრისტინე შალამბერიძე და ლაშა ღულელაური (სამხტომიძ. ვაჟთა შორის 4X200 მეტრზე ესტაფეტაში საქართველოს რეკორდით ჩემპიონობა ახალციხელებმა მოიპოვეს. საერთო გუნდურ ჩათვლაშიც პირველი ადგილი მათ ერგოთ.

კრივი

# ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო



**ბაქოში დამთავრდა ახალგაზრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი — ბეჟან ჭიჭინაძე ცხრა სპორტსმენით მონაწილეობდა.** კადეტებში თბილისელმა მსოფლიო ვიცე-ჩემპიონმა ალექსანდრე ჭადაშვილმა (57 კგძ მხოლოდ ფინალური პაექრობა წააგო და მეორე ადგილზე გავიდა. ნახევარფინალური ორთაბრძოლები დათმეს და „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ გურჯაანელი ზურაბ მეძერიშვილი (64ძ და რუსთაველი ზაზა სტერკი (81ძ.

ახალგაზრდული ნაკრები ახლა მსოფლიო პირველობისთვის ემზადება, რომელიც 20 აპრილს სწორედ აზერბაიჯანის დედაქალაქში დაიწყება.

ეკოკატასტროფის საფრთხე

# ოლიმპიადა, რომელიც „მწვანე“ აღარ იქნება

**ცოტა ხნის წინათ ჩავლილი ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიური თამაშები უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ახლა მთელი სპორტული სამყაროს ყურადღება უახლოეს ოთხ წელიწადში მომავალი ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქის, სოჭისკენ იქნება მიპყრობილი, თუმცა, როგორც ახლავე ჩანს, ეს ფორუმი საქართველოსთვის, შესაძლოა, ვანკუვერის ოლიმპიადაზე კიდევ უფრო ტრაგიკული აღმოჩნდეს.**




საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო ფონდის „ველური ბუნების“ (WWFძ რუსი ეკოლოგები ოლიმპიადა 2014-ის ეგრეთ წოდებული „ეკოლოგიური თანხლებიდან“ გამოსვლას აპირებენ იმის გამო, რომ **ოლიმპიადისთვის მზადების სადავეები მის ორგანიზატორებს, დიდი ხანია, ხელიდან გაუსხლტდათ.**



მსოფლიო ფონდის „ველური ბუნების“ ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში მეცნიერები საგანგებოდ აღნიშნავენ ოლიმპიადა-2014-ის მშენებარე სპორტული ობიექტების უკიდურესად მდარე ხარისხს და იმ უდიდეს ზარალს, რომელიც სადღეისოდ მიადგა გარემოს და ხაზს უსვამენ იმას, რომ მომავალში ეს ზარალი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ეკოლოგების განგაშის მიზეზი, კონკრეტულად, ის არის, რომ **სპორტული ჩინოსნები ყურადღებით ისმენენ მათ მოსაზრებას, რომლებიც ოლიმპიური ობიექტების მშენებლობას ეხება, ყველაფერზე თავს უკრავენ და... არაფერს არ ითვალისწინებენ!** ისინი განგაშს ტეხავენ ამის გამო და საჯაროდ აცხადებენ, რომ ოლიმპიადა-2014 ვერანაირად ვერ იქნება „მწვანე“, რადგან **„უნიკალურ ეკოლოგიურ სისტემებს უკვე მიაყენეს შეუქცევადი ზიანი, თუმცა მათი ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის შანსი ჯერ კიდევ არსებობს“.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გაცილებით **გვაღელვებს ის ეკოლოგიური საფრთხე, რომელიც აფხაზეთის ბუნებას ადგება იმის გამო, რომ სოჭის ოლიმპიური ობიექტებისთვის საჭირო საშენი ინერტული მასალების მოპოვება აქ ყველა არსებული ნორმის უხეში დარღვევით მიმდინარეობს, რის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა არაერთგზის განაცხადეს.**

ამასვე ეხმაურება აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც, რომელიც აცხადებს, რომ იზიარებს მსოფლიო ფონდის „ველური ბუნების“ რუსეთის წარმომადგენელთა სავსებით სამართლიან შიშსა და შეშფოთებას.

აღსანიშნავია, რომ ქართველი სპეციალისტები, ბუნების დამცველები, ეკოლოგები, გეოლოგები, ინჟინერ-გეოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ **რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში სოჭის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის მდინარეების კალაპოტებიდან და დელტებიდან ინერტული მასალების ამოღებას, რაც უახლოეს მომავალში სანაპირო ზოლს არნახული მასშტაბის კატასტროფის საშიშროებას უქმნის.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ჭიდაობა

# ოქროს ჯერ შესწავლენ

**უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ოქროს გრან-პრიზე იასპარეზეს. წარმატებით გამოვიდა შმაგი ბულიაშვილი. 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ აჯობა სლოვენიელ იურე კუჰარს, ბულგარელ ილიან გეორგიევს, ბელარუს იაუმენ ბაჩკოს, მის თანამემამულე ალექსანდრ კიკინოვს, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორია.** ფინალში ჩვენებური რუს ემილ სარაფედინოვს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა.



84 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა აკაკი ჯოხაძემ. იგი მეორე წრეში ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსეი მიშინთან დამარცხდა, დამამშვიდებელ ჯგუფში კი სამი ორთაბრძოლა მოიგო, მათ შორის აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე შალვა გადაბაძესთან და მესამე ადგილზე გავიდა.

ნახევარფინალში დამარცხდა ვლადიმერ გეგეშიძე (96ძ, რომელმაც მერე ბრინჯაოსთვის პაექრობაც დათმო და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

ინტერნეტიდან

## გაერო ოლიმპიადის წინააღმდეგ



**მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში და ოლიმპიური თამაშები ხელს უწყობენ ადამიანის უფლებათა დარღვევას, — განაცხადა გაეროს წარმომადგენელმა რაკელ როლნიკმა.**

გაეროს ექსპერტების თქმით, იმ ქალაქების, ქვეყნების ხელისუფალნი, სადაც ეს დიდი ტურნირები მიმდინარეობს, ცდილობენ ქუჩების „გაკეთილშობილებას“ ღატაკებისა და უსახლკაროთა ქალაქებიდან გასახლებით, ზოგ მათგანს უბინაოდაც კი ტოვებენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რომ ზრუნავდეს ამ პრობლემებზე, მაშინ, — როლნიკის აზრით, — ფიფა ამას ასე უყურადღებოდ არ მიატოვებდა.

თუმცა ამჟამად თავად გაეროც ვერ გადაურჩა ბრალდებებს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა ის დაადანაშაულა ერაყის ომის გამო. მისი თქმით, ერაყში ომის დაწყებამდე 2003 წელს მიგვიყვანა გაეროს სისუსტემ, ვინაიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ შეძლო, ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი აეძულებინა თავისი მოთხოვნების შესრულებაზე. ამაზე ბრიტანელმა მინისტრმა თქვა ერაყის ომში ბრიტანეთის მონაწილეობის გამომძიებელი კომისიის სხდომაზე.

მილიბენდის აზრით, ნატოს ჯარების შეჭრა ერაყში გამოწვეული იყო იმით, რომ გაერომ ვერ შეძლო ერაყის მიმართ წამოყენებულ მოთხოვნათა შესრულება, რაც აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და ანტისადამური კოალიციის მათმა მომხრეებმა შეიტანეს ამ ორგანიზაციაში.

## განა ულვაშები იმარჯვებს?!



**ამა თუ იმ გუნდის გამარჯვებისა თუ დამარცხების დროს მისი გულშემატკივრები რაღაც განსაკუთრებულ ნიშნებს გამოყოფენ ხოლმე.**

პორტუგალიის ნაკრების ქომაგებმა გაშალეს კამპანია სახელწოდებით „ოპერაცია ულვაშები“. ეროვნული გუნდის თაყვანისმცემლების აზრით, სწორედ ეს დეტალი აკლია ნაკრების ბევრ წამყვან მოთამაშეს. ულვაშები, როგორც მათ მიაჩნიათ, აშინებს მეტოქეებს და დაეხმარება კარლუშ კეირუშის გუნდს სამხრეთ აფრიკაში გამარჯვებაში.

პორტუგალიის ნაკრების ყველაზე წვერულვაშიანი მოთამაშეა აბელ შავიერი, ეროვნული ნაკრების ღირსებას 1993-2003 წლებში რომ იცავდა.

ამ კამპანიის ორ დღეში მისმა ორგანიზატორებმა ულვაშების სასარგებლოდ ხუთი ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვება შეძლეს.

## ცილისწამება — 2 მილიონად

**ოდესღაც ინტერნეტის ყველაზე პოპულარულმა ქალიშვილმა, ამჟამად ტელეწამყვანმა, მომღერალმა და მოდელმა ტილა ტეკილამ თავის ყოფილ ქმარს, ეროვნული საფეხბურთო ლიგის კლუბ „სანდიეგოს“ მცველს შონ მერიმანს ორი მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს ცილისწამებისთვის.**

დეკემბერში პოლიციამ დააპატიმრა მერიმანი ტილას ცემისთვის. დაზარალებულმა პოლიციაში განაცხადა, რომ შონი მას ახრჩობდა, მოდელი კი ჰოსპიტალში მოათავსეს. ვინაიდან მერიმანი შემდეგ გამოუშვეს, MTV-ს პროგრამის „სიყვარულის ცდა ტილა ტეკილასთან“ წამყვანს დაცვა მიუჩინეს. მალე პროკურატურამ უარყო პოპულარული მოდელის ბრალდება ფეხბურთელის მიმართ და ფაქტების სიმცირის გამო საქმე დახურა.

ფეხბურთელმა კი თავის მხრივ უჩივლა ლამაზმანს, მას ჩემი კარიერის დანგრევა უნდოდაო. სასამართლომ მისი მხარე დაიჭირა და ტეკილას ცილისწამებისთვის დიდი თანხის გადახდა დააკისრა.

ტილა ტეკილა 1981 წლის 24 ოქტომბერს სინგაპურში დაბადებულა. ახლა ცხოვრობს ჰოლივუდში. პოპულარული გახდა მრავალ ჟურნალში გამოჩენის შემდეგ. ტელევიზიაში მიჰყავს პროგრამა ბისექსუალური სიყვარულის შესახებ. ჰყავს მილიონზე მეტი მეგობარი სოციალურ ქსელში MySpace.



## ◉ ვერნისაჟი

# გაზაფხული მოგვილოცა იამ...



**გაზაფხულის შემოსვლას, ქალთა საერთაშორისო დღეს დაამთხვია ახალგაზრდა გრაფიკოსმა ია ჩხაიძემ თავისი პირველი პერსონალური გამოფენა – გალერეა „ჰობის“ ერთ-ერთი დარბაზის კედლები მისმა 30-ზე მეტმა სურათმა დაამშვენა.**

– საერთოდ, პირველად გამოვფინე საზოგადოებრიობის წინაშე ჩემი ნამუშევრები, – მეუბნება მეგობრებით გარშემორტყმული ია, – გრაფიკაში სულ რამდენიმე წელია, რაც ბედი ვცადე, ძირითადად ტუშით ვმუშაობ, ეს, კი, თურმე, დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ, საბოლოოდ, სასიამოვნოა...



არადა, ია ჩხაიძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების კურსდამთავრებულია, მხატვარი-დიზაინერია, ერთი ხანობა, თავის მეგობართან ერთად სამოდელო სალონიც კი გაუხსნია, მაგრამ, აი, გრაფიკას გაუტაცნია და, როგორც იმ საღამოს, ვერნისაჟზე, ხელოვნებათმცოდნეებმა აღნიშნეს, უკვე საკუთარი სამყაროც კი შეუქმნია.

გალერეა „ჰობის“ დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე **ვანდა მუჯირი** ამბობს: **„ჩვენი გალერეა ხშირად მასპინძლობს ახალგაზრდა მხატვრებს, რომელთაგან ბევრი, მართლაც გამორჩეულია, ჩემი აზრით, ჭეშმარიტად მათ რიცხვშია ია ჩხაიძეც, რომლის კომპოზიციების გაცნობა ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. აქ აზრია, ფიქრია, ხშირად სევდაა ახალგაზრდა მხატვრისა, ეს კი, მოგეხსენებათ, ნიჭიერებითა და დიდი შრომით თუ მიიღწევა“.**

ხელოვნებათმცოდნე **ნინო ხუნდაძე** ამატებს: **„მისი ყოველი ცალკეული კომპოზიცია კონკრეტულ ამბავს გვიყვება, თუმცა, ეს არ არის თხრობა პირდაპირი გაგებით, ეს განცდებისა და განცდილის გამოხატვაა“.**

გახარებულია იას პედაგოგი ბატონი ლადო ასათიანი, გახარებულია ყველა ამ სასიამოვნო საღამოთი, თვალზე ცრემლი შევნიშნე ჩემს უნივერსიტეტელ მეგობარს, ჩემს ვაჟა ჩხაიძეს – ახალგაზრდა მხატვრის მამას, რომელსაც ყველაზე მეტად ახარებს დღევანდელი დღე და აღელვებს თავისი ქალიშვილის მომავალი...

რა გასაკვირია...

**ვილენ მარდალეიშვილი.**
**სურათებზე: მხატვარი ია ჩხაიძე; გამოფენის ექსპონატი.**

## ხსოვნა

# კარლო მეშველიანი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი **კარლო მეშველიანი**.

დაიბადა 1927 წლის 2 იანვარს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე (1951 წ.) ასპირანტურაში ტოვებენ სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორიის სპეციალობით, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ნამორაძე. 1957 წელს კარლო მეშველიანმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ XVI-XVII საუკუნეებში“.



ლექციების კითხვას იწყებს 1954 წლიდან, ერთდროულად რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში ასწავლის, თუმცა მსოფლიო ისტორიის სწავლებას ყველაზე მეტი დრო მაინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუთმო, ჯერ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასისტენტად მუშაობდა, შემდეგ კი – დოცენტად და პროფესორად.

პედაგოგობის პარალელურად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა, 1965-1975 წ.წ. ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, 1980-1984 წ.წ. – უცხოელ მოქალაქეთა ფაკულტეტის დეკანი, 1987-1998 წ.წ. – ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, თითქმის იმავდროულად, 1991 წლიდან, სათავეში ედგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას, ეს თანამდებობა 1998 წლამდე ეკავა.

მისი ხელმძღვანელობით ფაკულტეტმა და კათედრამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, გამოცოცხლდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესი, მიიზიდა და დააწინაურა ახალი კადრები, შემოიღო ახალი დისციპლინები, სპეცკურსები და სპეცსემინარები.

ბატონმა კარლომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი საკანდიდატო დისერტაცია, რომელთა ავტორები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, კარლო მეშველიანს არასოდეს შეუწყვეტია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, საკმაოდ დიდხანს მუშაობდა ბულგარეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, მოიძია მრავალი საინტერესო მასალა, რის საფუძველზეც გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, ავტორია 70-ზე მეტი სერიოზული გამოკვლევისა.

უაღრესად ფასეულია მისი ნაშრომები: „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ-ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XVII საუკუნეებში“ (თბ., 1956, რუსულ ენაზე), „კაბოშინელთა აჯანყება“ (თბ., 1964), „ქართული საზოგადოებრიობის გამოძახილი ბულგარეთის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე“ (სოფია, 1962 წ.), „ბულგარეთის არქივებში დაცული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ისტორიის შესახებ“ (თბ., 1968) და სხვა მრავალი.

კ. მეშველიანს ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორიაზე:

1965 წელს გამოვიდა „დასავლეთ და სამხრეთ სლავების ისტორია“; 1974 წელს – „ბულგარეთი XIX-XX საუკუნეების დასაწყისში“; 1979 წელს – „პოლონეთი XIX-XX საუკუნეების დასაწყისში“; 1980 წელს – „ჩეხოსლოვაკია XIX-XX საუკუნეების დასაწყისში“; 1985 წელს – „იუგოსლავია XIX-XX საუკუნეების დასაწყისში“.

2005 წელს თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრამ გამოსცა „შუა საუკუნეების ისტორიის“ პირველი ტომი, სახელმძღვანელო, რომელშიც შევიდა მის მიერ მომზადებული რამდენიმე თავი.

ბატონი კარლოს სამეცნიერო და პედაგოგიური ღვაწლი უდავოდ თვალსაჩინოა, ამიტომაც მოიპოვა მისმა მრავალმხრივმა საქმიანობამ აღიარება: დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედლით და ღირსების ორდენით.

დასასრულ ვიტყვით, რომ ბატონი კარლო იყო შესანიშნავი ლექტორი და პედაგოგი, გამოირჩეოდა სტუდენტებისა და ასპირანტებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით. ეს ვაჟკაცური ბუნების ადამიანი გვერდში ამომდგომი და სიკეთის მთესველი იყო. ამ თვისებებმა მოუტანა მას დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მეგობრებსა და მოწაფეებში.

ღვაწლმოსილი პედაგოგის, მეცნიერ-მკვლევარისა და კეთილშობილი პიროვნების, პროფესორ კარლო მეშველიანის ხსოვნა მარად დარჩება მისი მოწაფეებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

უნივერსიტეტელი კოლეგები და მეგობრები

## გახსენება

# შურა ბართია-ბეჭვაია

ძნელია ადამიანის წარსულში ხსენება, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი შენი ახლობელია. 9 მარტს წელიწადი შესრულდა, რაც დატოვე ოჯახი. ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყავი და ყველას უყვარდი შენი სიკეთის, სიმართლის და პატიოსნების გამო. როგორ გვენატრები. შენს ოჯახს დააკლდა შენი სითბო და სიყვარული. შენი შვილები და შვილიშვილები ღირსეულად აგრძელებენ შენი და კოლია ბიძიას მიერ სინდისნამუსით გაკვალულ გზას.

ღმერთმა სასუფეველში გამყოფოთ შენ და კოლია ბიძია, ყველასთვის ძვირფასო შურა დეიდა.

ახლობლების სახელით
ნანული (ნანაძ გუნია

---

სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ კლარა მეშველიანს ძმის

**კარლო მეშველიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ ლომოური და ოთარ ჯაფარიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, ცნობილი ისტორიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**კარლო მეშველიანი**

და იზიარებენ ოჯახის მწუხარებას.

---

იულონ სამადალაშვილი, მამია სულაბერიძე თანაუგრძნობენ ფრიდონ და დათო ინჯიებს დედის

**ტატიანა (ტატო) სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ იაშვილი, ლადო კვარაცხელია, ნუგზარ გაბრიჩიძე, ვანო ზოდელავა, ზაზა ქათამაძე, გია ქათამაძე, გოჩა ყანჩაველი, კახა კვიციანი, მუხრან ბაგრატიონი, ტარიელ რაზმაძე, დემურ გადელია, რეზო ხვედელიძე, ზაზა მაზმიშვილი, კახა ბაკურაძე, დათო ბენიძე, მელორ და მერაბ ტყეშელაშვილები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ძვირფას მეზობელსა და მეგობარს ფრიდონ ინჯიას

**დედის**

გარდაცვალების გამო.

## ◉ შეცდომის გასწორება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში **„თბილისელებთან მეგობრობდა“,** გაიპარა მექანიკური შეცდომა: ტალი-პეტროსიანის პარტიის ნაცვლად წარმოდგენილი იყო ბოტვინიკ-კაპაბლანკას პარტიის დიაგრამა, რისთვისაც ავტორი ბოდიშს იხდის და გთავაზობს ტალი-პეტროსიანის პარტიის დაბოლოვებას

**ტალი – პეტროსიანი**
**მოსკოვი – 1974 წ.**




1. მeg5! hg 2. მg5 მgg8 3. ლf4 მd7
4. ეd7! ეd7 5. ეf7 ([illegible]) 1:0

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

## ◉ ინფორმაცია

# ნარკოტიკებზე ახალი მეთოდით ამოწმებენ

საჯარო მოხელეებს ნარკოტიკების მოხმარებაზე ახალი მეთოდოლოგიით შეამოწმებენ. ამის შესახებ განცხადება პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა გუშინ ბიუროს სხდომაზე გააკეთა.



აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივით საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე პრეზიდენტის პარლამენტში ანგარიშით წარდგენისას გამოვიდა და როგორც წერეთელი აცხადებს, ამ ინიციატივას პრეზიდენტიც მხარს უჭერს.

შესაბამისად, პარლამენტი დაიწყებს აღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო მუშაობას. როგორც წერეთელი განმარტავს, ანტინარკოტიკული პაკეტის მეორე მოსმენით განხილვის პროცედურა პარლამენტში სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების პროექტით დაიწყება. ცვლილება კი აღნიშნულ კანონში ლორთქიფანიძე-საააკაშვილის წინადადების ასახვას გაითვალისწინებს.

ინიციატივის თანახმად, კი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა შორის ნარკომანების გამოსავლენად ახალი მეთოდოლოგიის დაწესებას ითვალისწინებს. კერძოდ გამოკვლევა უნდა მოხდეს თმის ღერის გამოკვლევის მეთოდოლოგიის დანერგვით.

ჯი-ეიჩ-ენი

## ყველაფერი ყველაფერზე

### არა, სიაში არ შეიყვანეს

**სერვანტესს, რომელიც გაჭირვებულად ცხოვრობდა, თითქოს გამოუჩნდა კიდეც მფარველი გრაფ დე ლემოსის სახით, რომელსაც უკანასკნელი წლების თავისი ყველა ნაწარმოები მიუძღვნა. ამას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია – იგი მინიმალურ დახმარებას თუ იღებდა.**

და აი, თითქოს რაღაცა პერსპექტივა გამოჩნდა. გრაფი აპირებდა სასახლის კარზე გამორჩენილი პოეტების ჯგუფის წარდგენას, რომელთაც დაჯილდოება ელოდათ. სერვანტესმა თხოვა გრაფს, ისიც შეეყვანათ ამ მიწვეული ავტორების სიაში, მაგრამ ლემოსის მდივანმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა და სერვანტესის ნაცვლად რომელიღაც ახალგაზრდა პოეტს გაუწია რეკომენდაცია.



### უფასო დასაფლავების იმედით (!)

**რახან სერვანტესი სიდუხჭირეს თავს ვერაფრით აღწევდა, მისმა ცოლმა და ორმა დამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს – ისინი მონაზვნებად აღიკვეცნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათ გარდაცვალების შემდეგ უფასოდ (!ძ დაასაფლავებდნენ. რა ვუყოთ, რომ „დონ კიხოტის“ ავტორს ამ დროს უდიდესი სახელი ჰქონდა.**

აი, ამ თითქოს უცნაური გადაწყვეტილების გაგრძელება: გარდაცვალებამდე (1616 წლის 23 აპრილსძ ორი კვირით ადრე სერვანტესმა თვით მიიღო ბერად აღკვეცის გადაწყვეტილება და მასაც „გაუმართლა“ – ფრანცისკელმა ბერებმა თავიანთი სახსრებით დაასაფლავეს.

### ტყვეობასაც შეაჩვიეს და ციხესაც

**სერვანტესმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა თურქებთან ომში, სამჯერ დაიჭრა, მარცხენა ხელი სამუდამოდ პარალიზებული დარჩა. ამის მიუხედავად, იმედები არ დაუკარგავს. 1575 წელს თავის ძმა როდრიგოსთან ერთად, სამშობლოში რომ გამოემგზავრა, შინ ორი სარეკომენდაციო წერილი მიჰქონდა მეფე ფილიპე II-სთან. ერთი მეფის ძმამ, მთავარსარდალმა დონ ხუან ავსტრიელმა მისცა, მეორე კი ნეაპოლის ვიცე-მეფემ, ჰერცოგმა დე სესამ. ახლა მის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა. ყველაფრით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო...**

კაცი ბჭობდა... გემი ალჟირელმა მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელთ, სერვანტესი კი სწორედ იმ სარეკომენდაციო წერილებმა დაღუპეს – ალჟირელებმა იფიქრეს, ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება დავატყვევეთო და უზარმაზარი გამოსასყიდი შეაწერეს. ტყვეობა მთელ 5 წელს გაგრძელდა.

შინ რომ ჩამოვიდა, კიდევ ოთხჯერ (1592, 1597, 1602, 1605ძ აღმოჩნდა (ამჯერადძ ციხეში. რატომ? გადასახადების ამკრებად მუშაობდა და გაქნილმა მოხელეებმა არაერთგზის მოატყუეს. სევილიის ბანკში სახელმწიფო თანხა რომ შეიტანა, მისმა პატრონმა თავი... გაკოტრებულად გამოაცხადა. პასუხი კი პატიოსანმა სერვანტესმა აგო.

### „როგორ მინდოდა მისი გაცნობა!“

**1605 წელს სერვანტესმა „დონ კიხოტის“ პირველი ტომი გამოაქვეყნა. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – წიგნს ყველგან დახლებიდან იტაცებდნენ. პირველივე წელს 6 გამოცემა გამოქვეყნდა, მისი დაბეჭდვა პორტუგალიაშიც მოისურვეს და კატალონიაშიც. თუმცა რა გინდა: ავტორი როგორი ლატაკიც იყო, ისეთივე ლატაკად დარჩა.**

საფრანგეთის ელჩი ესპანეთში დაკ მაიენი სასახლის კარზე რომ მოხვდა, დიდებულთა წრეში დიდად აქებდა „დონ კიხოტს“, რომელიც თითქმის მთლიანად ზეპირად იცოდა: „როგორ მინდოდა მისი გაცნობა!“ ელჩს მაშინვე უპასუხეს, რომ სერვანტესი არის „მოხუცი, ლატაკი, ჯარისკაცი და იდალგო“. ეს ყველაფერი ასეც იყო, მაგრამ ფრანგმა გაიკვირვა: „როგორ, სახელმწიფოს არ შეუძლია შეინახოს ესოდენ გენიალური ადამიანი?“

### ყალბისმქნელმა სერვანტესსაც მოაკითხა

**სანამ სერვანტესი თავისი „დონ კიხოტის“ უზარმაზარი წარმატებით ტკბებოდა, მას საოცარმა ყალბისმქნელმა მოაკითხა. პირველ ტომს, რომელიც დიდ შედევრად აღიარეს, ვინმე თაღლითმა, რომელიც ალონსო ფერნანდეს აველიანედას ფსევდონიმს ამოეფარა, მოულოდნელად მიაყოლა... მეორე ტომი! ამ აველიანედამ არა მარტო გამოიყენა სხვისი ისტორია, არამედ ფაქტობრივად სერვანტესის რომანზე ბოროტი პამფლეტი დაწერა.** „დონ კიხოტის“ გმირები მან დაამახინჯა და შებნებულად გააუხეშა, დონ კიხოტი ჭკუაზე შეშლილ ბებერად წარმოადგინა, სანჩო პანსა კი სულელ და ძუნწ ლორმუცელად. ეს ვიგინდარა თვით სერვანტესსაც არაერთგზის თავხედურად დაესხა, მაგრამ მიზანს კი მიაღწია – მისი ნაყალბევი მკითხველებმა პირდაპირ დაიტაცეს.

საქმეს, ცხადია, თვით სერვანტესი თუ უშველიდა. 1615 წელს მან „დონ კიხოტის“ მეორე ტომი გამოსცა და ლიტერატურული ქურდებიც სამუდამოდ გააწბილა.

**მოამზადა
გივი
გამრეკელმა**

## დღის კალენდარი

## 10 მარტი

**განზოგება დიდი მარხვისა. ტარასისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა (8-6ძ; მოწამისა ალექსანდრესი, რომელი იწამა დლიზიპარს თრაკიისასა (305ძ; მოწამისა აბდალმესია ჰურიისა; მღვდელმოწამისა რიგინისა, სკოპელოსის ეპისკოპოსისა (დაახლ. 362ძ; მოწამისა ანტონისა; ნეტარისა თეოდორე სალოსისა.**



**ამოდის 06.21
ჩადის 18.00**



**ამოდის 13.28
ჩადის 04.28**

### დაიბადნენ:

**1845 – რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III.**

**1905 – ლევან გოთუა,** ცნობილი მწერალი. გარდაიცვალა 1973 წელს.

**1930 – იურტას მარცინკიავიჩუსი,** ლიტველი პოეტი.

**1958 – შერონ სტოუნი,** ჰოლივუდის ვარსკვლავი.

**1964 – პრინცი ედუარდი,** დედოფალ ელისაბედ II უმცროსი ვაჟი.

### გარდაიცვალნენ:

**1940 – მიხაილ ბულგაკოვი,** რუსი მწერალი და დრამატურგი.

**1985 – კონსტანტინ ჩერნენკო,** სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

### მოვლენები:

**1435** – ესპანელმა ზღვაოსნებმა აღმოაჩინეს გალაპაგოსის არქიპელაგი.

**1801** – ბრიტანეთში დაიწყო მოსახლეობის პირველი აღწერა.

**1906** – ბრიტანეთში გაიხსნა ლონდონის მეტროპოლიტენი.

**1906** – საფრანგეთის კურერის მაღაროში მოხდა ყველაზე ძლიერი აფეთქება მთელ ისტორიაში, რომელსაც 1800 მეშახტე შეეწირა.

**1982** – მიუხედავად მრავალი მითქმა-მოთქმის და წინასწარმეტყველებისა, „პლანეტების პარადმა“ ყოველგვარი კატაკლიზმების გარეშე ჩაიარა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ლაოსი** – მასწავლებლის დღე.

**სამხრეთი კორეა** – შრომის დღე.

**მიანმა** – მშრალი სეზონის დასაწყისი.

**უკრაინა** – მიწათმოქმედის დღე.

**მელიანიუსი**



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7360 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3632 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6481 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7792 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5165 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1608 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1727 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1279 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5433 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +14 |
| ქუთაისი. | +5 – +18 |
| ბათუმი. | +6 – +12 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | +5 – +13 |

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა, რომელიც შემთხვევით „ფორმულა-1“-ის ტრასაზე შეჯლიგინდა, რბოლა მოიგო. თანაც ისე, რომ გზად ორი მგზავრის აყვანაც მოასწრო.

* * *

გუშინ იელოვას მოწმეები მესტუმრნენ. სააგიტაციოდ. ჩემთან საუბრის შემდეგ მათ ცხოვრების აზრი დაჰკარგეს...

* * *

გუშინ დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთელი ოლიმპიელების 6 ორდენითა და 16 მედლით დაჯილდოების შესახებ. ამით რუსები მოპოვებული ოლიმპიური ჯილდოების ოდენობით ამერიკელებს დაეწივნენ.



* * *

ნაცემი და მთვრალი მიხო საავადმყოფოში მიიყვანეს.

– გვარი ჰკითხეთ, რომ მისიანებს შევატყობინოთ, – ამბობს ექიმი.

– არ არის საჭირო, ჩემიანებმა ჩემი გვარი უთქვენოდაც იციან.

* * *

ტიპი თევზაობს.

– რას იჭერ? – ეკითხება მეორე, ახალმოსული მეთევზე.

– კალმახს.

– რამდენი დაიჭირე?

– არც ერთი.

– აბა რა იცი, კალმახს იჭერ თუ ბაყაყს?

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.